პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 25 ივლისი, 1951 წ. № 173 (9027). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მოსავლის აღების გადამწყვეტი დღეები — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შევხვდეთ მეშახტის დღეს (1-ლი გვერდი).

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (1-ლი გვერდი).

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის სიტყვა პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში (მე-2 გვერდი).

მოსავლის უდანაკარგოდ აღება და პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა საპატიო საქმეა! (მე-3 გვერდი).

გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგოდ გერმანელ მუშათა კომიტეტის მოწოდება (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

მოსავლის აღების გადამწყვეტი დღეები

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წელს მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანის შესრულებას. მოსავლის აღებისა და პურის მასობრივად დამზადების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანის — უახლოეს წლებში საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მიღებულია ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის კარგი მოსავალი. კახეთისა და ქართლის რაიონებში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა და საკოლმეურნეო ბრიგადა, სადაც ჰექტარზე საშუალოდ 20-25 ცენტნერი და კიდევ მეტი ხორბალი მოიყვანეს.

კოლმეურნე გლეხობამ კარგად გამოიყენა საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დახმარება მანქანებით, სასუქით, კადრებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხორბლის მოსავლიანობის გადიდებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის მნიშვნელოვანმა ამაღლებამ და ხორბლის ნათესში მინერალური სასუქების საკმაო რაოდენობით შეტანამ.

საბჭოთა საქართველოს ყოველ მშრომელს აღაფრთოვანებს ის, რომ კოლმეურნეობები, ასრულებენ რა თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, საჭირო რაოდენობით ქმნიან სათესლე, საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს და ამასთანავე მნიშვნელოვანი რაოდენობით ანაწილებენ ხორბალს შრომადღეებზე. მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების ყველა სახის ვალდებულება. პურის დამზადების დამთავრებისა და სათანადო ფონდების გამოყოფის შემდეგ კოლმეურნეობამ თვითეულ შრომადღეზე სამი კილოგრამი ხორბალი გასცა ავანსად, ბევრი კოლმეურნის ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეებზე ორი-სამი ტონა ხორბალი უკვე მიიღო. მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ვარაუდობს სათანადო ფონდების გამოყოფის შემდეგ შრომადღეზე წელს გაანაწილოს 12 კილოგრამი ხორბალი. ასეთი მაგალითი ბევრია.

პურის აღების გადამწყვეტი დღეები დადგა. ამოცანა ის არის, რომ სწრაფად, უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, ვადამდე შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა, გამოვყოთ სათესლე მასალისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდები, შეუნელებელი ყურადღება მივაქციოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას და კოლმეურნეებზე შრომადღეების მიხედვით პურის, სხვა პროდუქტებისა და ფულის გაცემის გადიდებას.

პურისათვის ბრძოლის საქმეში დიდ როლს ასრულებენ კომბაინები. კომბაინების მაქსიმალური დატვირთვისა და მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით ქართლში, აგრეთვე მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში სხვა მტს-ებიდან გადაყვანილია 200-მდე კომბაინი. სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი კომბაინერი დაწინაურდა. ალაზნის მტს-ის კომბაინერმა მ. ლაზარიაშვილმა კახეთში მოსავალი 225 ჰექტარზე აიღო, ახლა თავისი კომბაინით ტირიფონის ველზე იღებს ბარაქიან მოსავალს და მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშს იძლევა. მისი ვალდებულებაა ქართლში მოსავალი აიღოს 300 ჰექტარზე. გარდაბნის მტს-ის კომბაინერმა კ. ჩხიკვაძემ 20 დღეში კომბაინ „სტალინეცი—6"-ით ხორბალი აიღო 366 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ჰექტარისა და ეკისრა დამატებით აიღოს 185 ჰექტარი. საათობრივი გრაფიკით მუშაობენ თელავის მტს-ის კომბაინერები მ. მამუკაშვილი, თ. კაჭკაჭიშვილი, გ. გოგოლაშვილი, რომლებიც დღეში 16-20 ჰექტარზე იღებენ ხორბალს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოწინავე კომბაინერთა მუშაობის გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, თვითეული მანქანის მთელი სიმძლავრით გამოყენებას.

არსებული მასალები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კომბაინების გაცდენა. ასეთ ფაქტებს ვხვდებით, მაგალითად, შინდისის, ქარელის, მცხეთისა და კასპის მტს-ებში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პურის დანაკარგებთან ბრძოლა. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში დანაკარგებთან ბრძოლა სუსტად არის მოწყობილი. ქარელის რაიონის სოფელ ლეთეთის კოლმეურნეობაში კვადრატულ მეტრზე საშუალოდ დატოვებულია 6-9 თავთავი. ასეთ ყანაში შეშვებულია კოლმეურნეობის ფერმის პირუტყვი. პურეულის სერიოზული დანაკარგის შესახებ იტყობინებიან აგრეთვე გორის და კასპის რაიონებიდან. ზოგან მიღებული მოსავლის აღრიცხვას ყურადღება არ ექცევა. მცხეთის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში პური მინდვრიდან საწყობში იგზავნება აღურიცხავად, საბუთების დაურთველად.

აუცილებელია სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი მოსავლის აღებაში, უზრუნველვყოთ კომბაინების, მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების შეუფერხებელი მუშაობა, დავაჩქაროთ ლეწვა, არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი მარცვლეული მკას, ლეწვისა და სახელმწიფოს მიმღებ პუნქტებსა და კოლმეურნეობათა ბეღლებში გადაზიდვისას. უნდა უზრუნველვყოთ მარცვლის აწონვა და აღრიცხვა სალეწებიდან და კომბაინებიდან მიღებისას, აგრეთვე დამამზადებელ პუნქტებში და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მარცვალსაცავებში გადაზიდვისას.

აუცილებელია ზუსტი კონტროლი დავაწესოთ მოსავლის აღების სამუშაოთა ხარისხისადმი. „საჭიროა პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებმა და რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყონ მოსავლის ასაღებ სამუშაოთა მუდმივი კონტროლი, პირადად შეამოწმონ აღებული მინდვრები, დაზვინვისა და გალეწვის ხარისხი, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დამამზადებელ პუნქტებში პურის შენახვისა და დაცულობის მდგომარეობა, დაუყოვნებლივ ადგილზევე მიიღონ აუცილებელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად". („პრავდა").

მოწინავე კოლმეურნეობები ენერგიულად შრომობენ პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. საჭიროა აღინიშნოს, რომ მრავალ რაიონში წელს საუკეთესოდ მოაწყვეს მოსავლის აღების, გალეწვის, აღრიცხვისა და ხორბლის მიმღებ პუნქტებში გადაზიდვის სამუშაოები. შედეგიც ჩინებულია. მარნეულის, ლაგოდეხის, გარდაბნის, თბილისის გარეუბნისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფოს ჩააბარეს 12.946 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე შარშან.

ეჭვი არ არის, რომ პურის დამზადების მოწინავეთა მიღწევები აღმაფრთოვანებელი მაგალითი გახდება ყველა რაიონის კოლმეურნეობებისა და მტს-ებისათვის. ისინი მხარს დაუჭერენ მოწინავეებს, ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას პურის დამზადების გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესასრულებლად, მოსავლის აღების წარმატებით დასამთავრებლად.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანი ამხ. ლომაძე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ყულიევი და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ბოლნისის რაიონში ამხ. დანელია იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 24 ივლისისათვის მთლიანად შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად).

სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 2.649 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე გასულ წელს.

პურის ჩაბარება გრძელდება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრის სოციალისტური შრომის გმირის ლ. ი. ხურციძის ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოების შესახებ

1950 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად დაჯილდოებულ იქნას **ლენინის მეორე ორდენით** მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი სოციალისტური შრომის გმირი ლუდმილა იოსების ასული **ხურციძე,** რომელმაც 0,6 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 11.140 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1951 წ. 23 ივლისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრის სოციალისტური შრომის გმირის ლ. მ. გოგოტიშვილის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

1950 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი სოციალისტური შრომის გმირი ლოლა მელიტონის ასული **გოგოტიშვილი,** რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.247 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1951 წ. 23 ივლისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ბ ჭ ო ს პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი ს ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის და 1950 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულებათა შესაბამისად **1950 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის,** როცა ამავე დროს კოლმეურნეობებმა შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებანი და სრულად მოიმარაგეს ყველა კულტურის თესლი 1951 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო":**

1. **ბაბილოძეს** ვალერიან ალექსის-ძეს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 12,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.647 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

2. **ბაქანიძეს** დიმიტრი ნესტორის-ძეს — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელმაც 48.8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.240,8 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

3. **ბოლქვაძეს** ალექსანდრა თეოფილეს ასულს—მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.143 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

4. **გაგუას** ლეო ექვთიმეს ასულს — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.075 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

5. **გობრონიძეს** ალექსანდრა სამსონის ასულს — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.391,8 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

6. **გორგილაძეს** ივანე კირილეს-ძეს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 9,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.630 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

7. **გორგილაძეს** მარიამ ევსიხის ასულს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.573 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

8. **ჟიბუტს** ეთერ შალვას ასულს — ჩოხატაურის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.104 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

9. **დოლიძეს** გრიგოლ შალვას-ძეს — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს, რომელმაც 48,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.240,8 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

10. **ზოიძეს** ნინო ვლადიმერის ასულს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 9.324 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

11. **ქადეიშვილს** მარიამ შალვას ასულს — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.130 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

12. **კანდელაკს** ნადია გიორგის ასულს — მახარაძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.004 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

13. **კიზირიას** ციალა გიორგის ასულს — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.458 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

14. **კუბუსიძეს** ალექსანდრა სოლომონის ასულს—მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.033 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

15. **კუნჭულიას** შუშანა ნიკიფორეს ასულს—ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.113 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

16. **მექვაბიშვილს** ვერა კონსტანტინეს ასულს — მახარაძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 8.612 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

17. **თავაძეს** კასიანე პავლეს-ძეს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 8,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.377 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

18. **თავაძეს** პარმენ კირილეს-ძეს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 9,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.083 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

19. **თოიძეს** ვერა სამსონის ასულს — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.062 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

20. **ცენტერაძეს** ვლადიმერ ილარიონის-ძეს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.642 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

21. **ცენტერაძეს** თამარ სამსონის ასულს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2.8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.230 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

22. **ჩავლეიშვილს** ვასილ გერონტის-ძეს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 6,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.235 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1951 წ. 23 ივლისი.

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

★ ★

ტვირთიანი სავსტაფეტო მატარებლები

სტალინო, დიდი სიჩქარით გრაფიკის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით დადიან სამხრეთ დონეცის რკინიგზაზე კომუნიზმის დიად მშენებლობათა მასალით დატვირთული მატარებლები. მათს ჩქაროსნულ დამუშავებაში მონაწილეობას იღებენ გზის ყველა სადგურის შემადგენლები, გამინჯველები და მეორთქლმავლეები. აქ პირველი სავსტაფეტო მატარებელი გაატარეს ერთი თვის წინათ გზის დისპეტჩერ ნიკოლოზ პსარევის ინიციატივით. ამ მარშრუტმა მაშინ 10 საათზე ნაკლებ ხანში გაიარა დღე-ღამის სავალი მანძილი.

ახლა მაგისტრალის ყველა დისპეტჩერი დიად მშენებლობათა ტვირთიანი მარშრუტის მოსვლის ცნობას რომ მიიღებს, წინასწარ ამზადებს მისთვის ორთქლმავალს. მარშრუტებს რიგგარეშე იღებენ და გზავნიან შეუსვლელად სადგურებზე და გადამუშავების პუნქტებში.

მარტო ივლისში ამხ. პსარევმა და მისმა შემცვლელებმა —კორიამ და ნიკოლაევმა გაატარეს „ვოლგადონმშენისათვის" განკუთვნილი ლითონით, კონსტრუქციებით, მანქანებითა და სამშენებლო მასალით დატვირთული 30 სავსტაფეტო მარშრუტი. მათი გატარებას დროს დაზოგილია 100-ზე მეტი საათი. მოძრავი შემადგენლობის მოცდენის შემცირების გზით დაზოგილია თითქმის 80 ათასი მანეთი. (საკდესი).

ტვირთები დიადი არხისათვის

ტახია-ტაში, 20 ივლისი. (საკდესი). მატულობს იმ ტვირთების ნაკადი, რომლებიც თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე მოდის.

ტახია-ტაშში მოსული კარჯაპებიდან გადმოტვირთულია ათობით ლითონდამმუშავებელი ჩარხი. აზერბაიჯანიდან მიღებულია მოწყობილობა ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზისათვის, ურალიდან — დიდძალი კაბელი, კიევიდან — ტრანსფორმატორები. სამმა ქარავანმა მშენებლობაზე მოიტანა კაროვისა და მოლოტოვის ოლქებიდან გამოგზავნილი ხე-ტყე.

სტახანოვურად შრომობენ ამუდარიელი მემდინარეები. მთელი ტვირთი ვადაზე ადრე მოდის ტახია-ტაშში.

ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურზე

კრამატორსკი, (სტალინოს ოლქი). 20 ივლისი. (საკდესი). ნოვო-კრამატორსკის სტალინის სახელობის ქარხანაში დამთავრდა დეტალების სათვალავით მესამე კომპლექტის დამზადება ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებისათვის.

მთელი კომპლექტი დამუშავებულია ქარხნის ინჟინრების მიერ სტახანოველებთან თანამეგობრობით შექმნილი ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე. შედეგად დეტალების დამზადების ციკლი ერთიორად-ერთისამად შემცირდა.

ამჟამად ნოვოკრამატორსკელები შეუდგნენ ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურის ტურბინების მეოთხე კომპლექტის უკანასკნელი დეტალების მიმმართველი ფრთების დამუშავებას.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შევხვდეთ მეშახტის დღეს

გააჩაღეს მუშაობა ვალდებულების შესასრულებლად

ქუთაისი. (საკ. კორ.). მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი თავდადებულად შრომობს მეშახტის დღის ღირსეულად შეხვედრისათვის. მანქანათმშენებელთა ვალდებულებაა — 26 აგვისტოსათვის შეასრულონ 8 თვის გეგმა, 15 პროცენტით შეამცირონ თვითღირებულება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და თვენახევარში რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით გაწიონ 150 ათასი მანეთის ეკონომია.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ქარხნის საამქროებში გაჩაღებულია მაღალნაყოფიერი შრომა. სამჭედლო საამქრო ამ დღეებში დავალებებს სისტემატურად 130-135 პროცენტით ასრულებს, ლითონკონსტრუქციების საამქრო — 125, ამწყობი საამქრო — 120 პროცენტით და ა. შ.

ზეინკალი ბრიგადირი იოსებ ჯარახველიძე, მზერლავი გიორგი შალიკიანი, მჭედელი დ. ანასაშვილი, თერმული განყოფილების სპეციალისტები გ. მაჩიტაძე, პ. პატრეზოვი და ათობით სხვა სტახანოველი გამომუშავების ნორმებს 300-350 პროცენტით ასრულებენ.

ქარხნის კოლექტივი მეშახტის დღისათვის მზადების დღეებში წარმატებით ითვისებს ახალ მიწისსათხრელ მანქანების გამოშვებას.

შ ა ხ ტ ი დ ა წ ი ნ ა უ რ დ ა

ტყიბული. (საკ. კორ.). გელათის საშახტო უბანი ახალგაზრდა უბანია, მაგრამ აქაურმა მეშახტეებმა თავიანთი გამართული, ორგანიზებული მუშაობის შედეგად ბევრ სხვა უბანს გაუსწრეს. გელათის შახტს უნარიანად ხელმძღვანელობს ინჟინერი ნ. ციცხვაია. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგთა მიხედვით ამ შახტის კოლექტივმა საკავშირო ჯილდო მოიპოვა.

კარგად მუშაობდნენ გელათელი მეშახტეები მეორე კვარტალშიც. ნახევარი წლის გეგმა მათ 9,3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოები დიდი მასშტაბით გაშალეს და ამასთან 6 თვეში სამშობლოს 164.000 მანეთი ეკონომია მისცეს.

გელათის შახტის საექსპლოატაციო უბნებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც პ. ჩიხლაძე და ნ. გვენეტაძე ხელმძღვანელობენ. მეშახტის დღისათვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ბრძოლაში გამოირჩევიან მეშახტეები გ. გიორგაძე, ა. ჭელიშვილი, შ. მორჩაძე, ა. გოორგაძე, ფ. კურბატოვი, შ. ხანთაძე, გ. ნიკოლაძე. ამ მოწინავეთა შორის არის უხუცესი მეშახტე პ. ლითოდიანი, რომელსაც ტყიბულის ქვანახშირის სამრეწველო რაიონში მუშაობის 50 წლისთავი შეუსრულდა. მასთან ერთად მუშაობს ძველი მეშახტე ვიქტორ დახუნდარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის სიტყვა

პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში

დღეს ჩვენ მეშვიდეჯერ ზეიმით აღვნიშნავთ ჰიტლერული ოკუპაციის უღლისაგან პოლონეთის განთავისუფლების დღეს, პოლონეთის როგორც სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოს აღორძინების დღეს.

როგორც წარსულ წლებში, ისე წელსაც, ჩვენი განთავისუფლების წლისთავზე ჩვენ გადავხედავთ განვლილ გზას და ვახდენთ ჩვენი ხალხის მიერ გაწეული მუშაობის დათვალიერებას.

შვიდი წლის წინათ, როცა ძლევამოსილი საბჭოთა ჯარები და მათთან ერთად პოლონეთის ჯარები, მიერეკებოდნენ რა ჰიტლერელ დამპყრობლებს, ჩვენს მიწაწყალზე შემოვიდნენ, პოლონეთი ჯერ კიდევ გახვეული იყო საშინელი ომის ცეცხლში. პოლონეთის ტერიტორიის მეტ ნაწილზე ჯერ კიდევ პარპაშობდა მტერი. როცა განმათავისუფლებელი ჯარების ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, ხოლო შემდეგ პოლონეთის დროებითი მთავრობა თავიანთ ხელში იღებდნენ ძალაუფლებას განთავისუფლებულ მიწაწყალზე, ჩვენს წინაშე გადაიშალა შემაძრწუნებელი ნანგრევებისა და ნახანძრალის, მოსპობილი და გადამწვარი ქალაქებისა და სოფლების, დანგრეული ქარხნების, ფაბრიკებისა და სახელოსნოების, გაძარცული და გაპარტახებული სოფლის მეურნეობის, პარალიზებული ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სურათი, — ომით გამოწვეული ისეთი ნგრევის სურათი, როგორიც ისტორიას არ ახსოვს, ხალხის ისეთი ტანჯვა-წამების სურათი, რომელსაც ისტორიაში პრეცედენტი არ მოეპოვება.

სამუდამოდ სახსოვარმა ივლისის მანიფესტმა უკვე მაშინ დასახა ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და ჩვენი ხალხის განვითარების გზები. უკვე მაშინ ხალხის ნების შესაბამისად ივლისის მანიფესტმა მოუწოდა უფართოეს მასებს სახალხო ხელისუფლების შექმნისაკენ, მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის დამხობისაკენ, უცხოელ იმპერიალისტთა უღლისაგან პოლონეთის განთავისუფლებისაკენ, იმისაკენ, რომ პოლონეთის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა ემყარებოდეს მუდმივ კავშირს საბჭოთა კავშირთან, პოლონეთის საზღვრების ოდერზე, ნისესა და ბალტიკაზე განმტკიცებას. (ხანგრძლივი ტაში).

შვიდი წლის განმავლობაში ჩვენ განუხრელად მივდიოდით ისტორიული ივლისის მანიფესტით დასახული გზით. ამ შვიდი წლის განმავლობაში პოლონელი ხალხი შემოქმედებითად შეიცვალა. იმ საზოგადოებიდან, რომელშიც მემამულეები და კაპიტალისტები ბატონობდნენ, რომელსაც საერთაშორისო კაპიტალის უამრავი წურბელები სისხლსა და მთელ სასიცოცხლო ძალებს სწოვდნენ, რომელშიც გლეხს მიწა არ ჰქონდა, მუშას სამუშაო არ ჰქონდა, ხოლო მშრომელი ინტელიგენტი შესაძლებლობას ვერ პოულობდა თავისი კვალიფიკაცია გამოეყენებინა, რომელშიც ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და ტალანტები იღუპებოდნენ, რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრება ძალადობით განისაზღვრებოდა, ხოლო მბრძანებლები პოლიციელის ჯოხი და ფაშიზმი იყვნენ, საზოგადოებიდან, რომელიც გადაჩეხილი იყო სექტემბრის კატასტროფის უფსკრულში, პოლონელი ხალხი განვლილ შვიდ წელიწადში აღდგა, გაიზარდა და შეიცვალა, განუხრელად ამრავლებს თავის ძალებს და თავისთვის უზრუნველყოფს შემდგომი განვითარების საუკეთესო პირობებს.

დღეს ჩვენ წარმოვადგენთ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრების ყოველი დღე ამრავლებს მატერიალურ და შემოქმედებით ძალებს, ჩვენ წარმოვადგენთ თავისუფალ ხალხს, რომელიც ემორჩილება მხოლოდ თავის თავს და თვით მის მიერ დადგენილ კანონებსა და მისწრაფებებს.

დღეს ჩვენი ხალხისათვის კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით ვუცქერით იმ შედეგებს, რაც მიღწეულია პოლონეთის ხალხის უფართოესი მასების შვიდი წლის ბეჯითი და თავდადებული შრომითა და ღონისძიებებით. (ტაში). ამ ღონისძიებათა შედეგად პოლონეთი შემჭიდროებული, მძლავრი სახალხო სახელმწიფო გახდა. ამ ღონისძიებათა შედეგად ძალაუფლება განუყოფლად გადასულია ხალხის მასების ხელში. განდევნეს რა მემამულეები და კაპიტალისტები, იხსნეს რა პოლონეთი შინაური და უცხოეთის კაპიტალის ბატონობისაგან, ხალხის მასებმა განავითარეს უდიდესი აქტივობა, გამოიჩინეს დაუშრეტელი ძლიერება და ძალა და განახორციელეს ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განვითარების საქმე ჩვენი ხალხის ისტორიაში უმაგალითო ტემპებითა და მასშტაბით.

ხალხის ნების თანახმად, პოლონელ რევოლუციონერთა მრავალი თაობის მისწრაფების თანახმად, რომელთაგან ესოდენ ბევრი დაიღუპა უცხოელ აგრესორთა და შინაური რეაქციის ძალადობასთან ბრძოლაში, პოლონეთი, საბჭოთა კავშირის მაგალითისა და დახმარებაზე დაყრდნობით, მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. (ხანგრძლივი ოვაცია, შეძახილები პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად).

ძლევამოსილად და ვადამდე შევასრულეთ რა ჩვენი ქვეყნის აღდგენის სამწლიანი გეგმა და წარმატებით ვახორციელებთ რა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის ექვსწლიან გეგმას, ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ ჩვენი მრეწველობა, არამედ დიდი ნაბიჯიც გადავდგით წინ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე ახლა შეადგენს ომამდელ პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 364 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სამნახევარჯერ და უფრო მეტად გავადიდეთ ჩვენი სამრეწველო პოტენციალი. ვახორციელებთ რა ჩვენი მრეწველობის განვითარებასა და რეკონსტრუქციას, ჩვენ მნიშვნელოვნად ავამაღლეთ ჩვენი წარმოების ტექნიკური დონე და შევქმენით მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები, რომლებიც ომამდელ პოლონეთში უცნობი იყო. ომამდე პოლონეთში არ გვქონია მძიმე და სპეციალური დაზგების წარმოება, დღეს კი ეს წარმოება გვაქვს. ომამდე არ გვქონია ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომობილების წარმოება, არ გვქონია საზღვაო გემების წარმოება, დღეს კი იგი გვაქვს. ომამდე არ გვქონია მეტალურგიული, ქვანახშირის, ქიმიური, ქაღალდის მრეწველობისა და სხვა დარგებისათვის სამრეწველო მოწყობილობის განვითარებული წარმოება, დღეს კი იგი გვაქვს. ომამდე არ გვქონია სინთეზური მასალების წარმოება, დღეს კი იგი გვაქვს. ომამდე არ გვქონია თანამედროვე ხელოვნური ბოჭკოს წარმოება, დღეს კი იგი გვაქვს.

ამავე დროს სწრაფად განვითარდა პოლონეთის სოფლის მეურნეობა. სარგებლობდნენ რა ყოველმხრივი დახმარებით სახელმწიფოს მხრივ, რომელიც უხვად ამარაგებდა გლეხებს ხელოვნური სასუქებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მშრომელმა გლეხებმა განდევნეს მემამულეები და შემდეგ ომისშემდგომ პერიოდში ნანგრევებიდან აღადგინეს თავიანთი მეურნეობა, მოხნეს მილიონობით ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა, სწრაფად განავითარეს მემცენარეობა და მეცხოველეობა. განვითარდნენ სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობანი, წარმოიშვნენ პირველი სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს და ამჟამად ომამდელი პერიოდის 142 პროცენტს შეადგენს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელი მასების კეთილდღეობა. ჩვენში, პოლონეთში, აღარ არიან მშიერნი და ძონძებში გახვეულნი, უსახლკარონი და უმუშევარნი. პოლონეთში არავის ემუქრება სიღატაკისა და უმუშევრობის აჩრდილი, შიმშილისა და უსახლკარობის აჩრდილი. თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, განვითარდა და აყვავდა ზოგად-საგანმანათლებლო და პროფესიული საშუალო და უმაღლესი სწავლება.

შრომის, დასვენების, სამედიცინო დახმარების, განათლების უფლება ოცნების სფეროდან ფაქტების სფეროში გადავიდა. და დღეს ამ ძირითადი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უფართოესი მასები.

ჩვენი ხალხის შრომის ასეთი შედეგები, ხალხისა, რომელიც სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგა, შეგვიძლია სიამაყით და კმაყოფილებით აღვნიშნოთ და უნდა აღვნიშნოთ კიდეც დღეს, ჰიტლერული ოკუპაციისაგან პოლონეთის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავზე. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა. დღეს მილიონობით ადამიანი მუშაობს პოლონეთში ახალმშენებლობებზე, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე, კულტურულ და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობაზე. სახალხო პოლონეთში ახლა ჩვენ ახალ მშენებლობაზე, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, თითქმის ხუთჯერ მეტს ვხარჯავთ, ვიდრე ომამდე, ვიდრე ეგრეთწოდებული ეკონომიური კონიუნქტურის საუკეთესო წლებშიც კი.

ამჟამად მიმდინარეობს დიდი ექვსწლიანი გეგმის მხოლოდ მეორე წელი. ჩვენ მოგველის კიდევ უდიდესი მუშაობა, მოგველის ძალების უდიდესი დაძაბვა და კიდევ არა ერთი სიძნელე, რომელიც უნდა გადავლახოთ. მაგრამ ჩვენს წინაშე გადაშლილია უკვე თვითეულისათვის აშკარა უდიდესი და სასიხარულო პერსპექტივები მძლავრი მაღალინდუსტრიული, კულტურული, მდიდარი და ბედნიერი პოლონეთისა. ჩვენს წინაშე გადაშლილია ჩვენი ხალხის ბედნიერი, კულტურული, მჩქეფარე ყოველმხრივი ცხოვრების პერსპექტივები. ჩვენი შრომის ყოველი თვე ანაზღაურებს წინანდელი საუკუნობრივი ჩამორჩენილობის წლებს, ჩვენი შრომის ყოველი წელი ანაზღაურებს ათეულ წლებს.

ეს ესმის ყოველ პოლონელს, და ამით აიხსნება მთელი ხალხის, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ასეთი უდიდესი აქტივობა ექვსწლიანი გეგმისათვის ბრძოლაში.

რაც უფრო წინ მიდის სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ხალხი, ბუნებრივია, მით უფრო მეტად ხედავს სოციალისტურ ერად, სულ უფრო მეტად მტკიცდება მშვიდობისა და ექვსწლიანი გეგმისათვის ბრძოლის ეროვნული ფრონტი. სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობა და იზრდება ჩვენი ხალხის პატრიოტული ერთიანობა ეროვნული ფრონტის ძირითადი ლოზუნგების გარშემო. განა ამის დამამტკიცებელი არ არის მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის შემოქმედებითი და თავდადებული შრომა დიდი მშვიდობიანი მშენებლობის ყველა უბანზე? განა ამის დამამტკიცებელი არ არის ის ერთსულოვნება, რომლითაც პოლონელმა ხალხმა მხარი დაუჭირა სტოკჰოლმის მოწოდებასა და მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ? განა ამის დამამტკიცებელი არ არის ის, რომ მთელმა პოლონელმა ხალხმა უკლებლივ და სრულად დაუჭირა მხარი პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ პოლონეთის ძალების განვითარების მიზნით გამოშვებულ ეროვნულ სესხს?

პოლონელი ხალხი დღეს ისე დარაზმული და ერთსულოვანია და ისე გამსჭვალულია ერთიანი დიადი იდეით, როგორც ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

ამ იდეას წარმოადგენს უკლასო საზოგადოების, ექსპლოატაციისაგან, ძალადობის, შიმშილისა და უმუშევრობისაგან თავისუფალი, მაგნატ-კაპიტალისტთა პრივილეგიებისა და მუშათა და გლეხთა სიღატაკისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენების იდეა.

ამ იდეას წარმოადგენს მშენებლობა, ძლიერი, დამოუკიდებელი პოლონეთისა, რომელიც იბრძვის მტკიცე მშვიდობისა და თავისუფალ ხალხთა ურთიერთპატივისცემისათვის, მათი განუხრელად მზარდი მეგობრობისათვის. (მქუხარე ოვაცია გენერალისიმუს სტალინისა და პრეზიდენტ ბერუტის პატივსაცემად). ამ იდეის განხორციელების ცოცხალ, მჭერმეტყველურ და საუცხოო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი დღევანდელი ეროვნული დღესასწაულიც. პოლონელი ხალხი დღეს ეგებება პოლონეთის მეზობელი ყველა ქვეყნისა და ხალხის დელეგაციებს, რაც წარმოუდგენელი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის წინანდელ, ომამდელ პირობებში. უნდა გავიხსენოთ, რომ სანაციურ პოლონეთს მუდამ არამეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, ხოლო პილსუდსკელთა მთავრობების ერთადერთი ცდა — დაემყარებინათ „მეგობრობა" ჰიტლერელ აგრესორებთან — დამთავრდა და უნდა დამთავრებულიყო კატასტროფით პოლონელი ხალხისათვის. საერთაშორისო მეგობრობის იდეის ერთგული სახალხო პოლონეთი დღეს, თავისი ეროვნული დღესასწაულის დღეს, ეგებება დელეგაციებს, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოს შემოქმედებითისა და პროგრესულ ძალებს, მათ შორის მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ ძალებსაც, ვინაიდან ჩვენ გვაერთიანებს მშვიდობისათვის, პროგრესისათვის, ძმობისათვის, ადამიანთა მთელი საზოგადოების ბედნიერი და შემოქმედებითი მომავლისათვის ბრძოლის საერთო დიადი იდეა და ურყევი ნებისყოფა. (ტაში).

ამ უმშვენიერესი ზოგადსაკაცობრიო იდეის განხორციელებისათვის ძველთაგანვე იბრძოდნენ კაცობრიობის უდიდესი და ყველაზე თავდადებული წარმომადგენლები.

საერთაშორისო ძმობის ამ იდეის განხორციელებისათვის იბრძოდნენ მარქსი და ენგელსი, ლენინი და სტალინი. მისთვის იბრძოდნენ უდიდესი პოლონელი რევოლუციონერები ადამ მიცკევიჩი და იაროსლავ დომბროვსკი, ლუდვიკ ვარინსკი და როზა ლუქსემბურგი, იულიან მარხლევსკი და ფელიქს ძერჟინსკი.

საერთაშორისო ძმობის ამ დიადი იდეის ურყევი ძლიერებისა და შემოქმედების დიდი და ნათელი სიმბოლოა იოსებ სტალინი, მშვიდობის გენიალური და შეუდრეკელი მედროშე. ჩვენს დღესასწაულში მისი უახლოესი თანამებრძოლისა და მეგობრის, სსრ კავშირის მთავრობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის, ჩვენი დიდი მეგობრის — ამხანაგ ვიაჩესლავ მოლოტოვის პირადი მონაწილეობა, ისევე როგორც დელეგაციის შემადგენლობაში ძლევამოსილი საბჭოთა არმიის ერთ-ერთი მხედართმთავრის მარშალ ჟუკოვის მონაწილეობა, — ყველაზე მჭერმეტყველური გამოხატულებაა მხურვალე მეგობრობისა, ურყევი ურთიერთპატივისცემისა და ძმობისა, რაც ამჟამად პოლონელ ხალხს და მძლავრი საბჭოთა ქვეყნის ხალხებს აერთიანებს. ამ მეგობრობისა და ამ ძმობის პრინციპები გამოხატულია და ჩაწერილია ისტორიულ ხელშეკრულებაში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დადეს 1945 წლის 21 აპრილს მოსკოვში და რომელსაც პირადად აწერს ხელს ამხანაგი სტალინი. სსრ კავშირის ხალხებთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლ ძალებთან ეს მეგობრობა, რომელიც თანდათანობით მტკიცდება, ჩვენი ხალხის პატრიოტული სიამაყისა და ძალის მძლავრი დაუშრეტელი წყაროა, ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტია, ჩვენი მისწრაფებებისა და ღონისძიებების გარდუვალი გამარჯვების რწმენის, მშვიდობის, სიმართლისა და სამართლიანობის გამარჯვების, სოციალიზმის გამარჯვების რწმენის წყაროა. (ხანგრძლივი ოვაცია, შეძახილები: „სტალინი — ბერუტი!").

ჩვენი ხალხის პატრიოტული ერთიანობა იჭედება განადგურებული კაპიტალისტური კლასების ნაშთებისა და უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ არაერთი კლასობრივი ბრძოლა მოგველის კაპიტალისტურ ელემენტებთან ქალაქად და სოფლად.

პოლონელმა ხალხმა ჩაფუშა ყველა ცდა — გადაეგდოთ იგი სოციალისტური მშენებლობის და საბჭოთა კავშირთან მარადიული მეგობრობის გზიდან. პოლონელმა ხალხმა ჩაფუშა ყველა ცდა — აღედგინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება და კვლავ გადაექციათ პოლონეთი ჩამორჩენილ, ბნელ, ნახევრადკოლონიურ ქვეყნად, რომელსაც უცხოელ იმპერიალისტთა უღელი ედგმებოდა. პოლონელმა ხალხმა გააძევა სამშობლოს მოღალატეები, უცხოეთის კაპიტალის აგენტები, გამცემლები და უცხოელთა დაქირავებულები — მიკოლაიჩიკები და ერნ-ელები, ენდეკები და პილსუდსკელები. ჩვენ ვიცით, რომ უცხოეთის იმპერიალიზმს და განადგურებული კაპიტალისტური კლასების მტრულ ძალებს პოლონეთში ხელი არ აუღიათ განზრახვაზე — ხელი შეეშალოთ ეროვნული მშენებლობის დიად საქმეში. ჩვენ ვიცით, რომ ეს მტრული ძალები ცდილობენ განახორციელონ ჩვენში საბოტაჟი და დივერსია. ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტები დოლარებს არ იშურებენ იმისათვის, რომ გააფართოონ ქსელი თავაშვებული და ცილისმწამებლური რადიოპროპაგანდისა, რომელსაც მომსახურებს უწყვეტ რეაქციული ემიგრანტების წრიდან დაქირავებული აგენტები. ჩვენ ვიცით, რომ ამ რუპორებიდან გაისმის ბინძური და საზიზღარი ცილისწამება, სიცრუე და ტყუილი. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ყველა ეს ღონისძიება ჩაფუშვისათვის არის განწირული. მხოლოდ პოლიტიკურად უმეცარ ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ თავიანთი საზიზღარი ცილისწამებითა და სიცრუით მოახერხებენ მიაღწიონ რამეს იმ ხალხებში, რომლებმაც შემოქმედებითი შრომის სიხარული იგემეს და კაპიტალისტთა და მემამულეთა უღელი მოიშორეს. (ტაში). ეჭვი არ არის, რომ პოლონელი ხალხის პატრიოტული ერთიანობა სულ უფრო მეტად გაიზრდება და განმტკიცდება. ეჭვი არ არის, რომ მუდამ გაძლიერდება სიფხიზლე საბოტაჟისა და დივერსიის ცდების მიმართ, რომ სახალხო მართლმსაჯულების ხელი სულ უფრო მარჯვედ დაატეხს თავს რისხვას იმათ, ვისაც სურს ხელი შეუშალოს ჩვენს გრანდიოზულ მშვიდობიან მშენებლობას.

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების დღეს იმ პერიოდში ვდღესასწაულობთ, როცა ამერიკელი იმპერიალისტები და მათი სატელიტები უკიდურესი ცინიზმით ცდილობენ დაანთონ ახალი ომის ხანძარი.

ისინი ცდილობენ მთელი მსოფლიოს რეაქციული ძალების, მათ შორის ვატიკანის მხარდაჭერით აღადგინონ ჰიტლერული მილიტარიზმი დასავლეთ გერმანიაში.

ამერიკელი იმპერიალისტები გერმანელ ნეოჰიტლერელებთან, ადენაუერებთან და შუმახერებთან ერთად, მთელი მსოფლიოს რეაქციული ძალების, მათ შორის ვატიკანის მხარდაჭერით იწყებენ რევიზიონისტულ კამპანიას ჩვენი დასავლეთი მხარეების წინააღმდეგ, იმ მხარეებისა, რომლებიც ჩვენ დავიბრუნეთ და აღვადგინეთ და რომლებიც ჩვენთვის მუდამ დარჩება მშვიდობის საზღვრად და ჩვენი სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად.

ამერიკელი იმპერიალისტები და მათი სატელიტები აფართოებენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ბაზების ქსელს.

ამერიკელი იმპერიალისტები აჩაღებენ ომს შორეულ აღმოსავლეთში, ბარბაროსულად სპობენ გმირი კორეელი ხალხის მშვენიერ ქვეყანას, ცდილობენ ხელი შეუშალონ განთავისუფლებული დიდი ჩინელი ხალხის განვითარებას, უარს ამბობენ იმაზე, რომ მშვიდობიანად იქნას მოგვარებული სადავო საკითხები, რომ ეს საკითხები გადაწყვეტილ იქნას თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე და რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის დაიდოს მშვიდობის პაქტი.

პოლონელი ხალხი აღშფოთებითა და მრისხანებით ადევნებს თვალს ომის გაჩაღებისაკენ მიმართულ ამ ოინებს.

ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა, ჩვენ ვეწევით მშვიდობიან მშენებლობას, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირს და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანას, ჩვენ არა გვსურს ჩავერიოთ სხვა სახელმწიფოთა საქმეებში და გვწამს, რომ შესაძლებელია ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობა და მათ შორის ფართო თანამშრომლობა, მიუხედავად სოციალ-პოლიტიკური სისტემების სხვადასხვაობისა. ეს არაერთხელ ყოფილა გამოხატული და მუდამ პოულობს გამოხატულებას ჩვენს კონკრეტულ პოლიტიკაში. ისევე, როგორც საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლა ჩვენი ძირითადი საქმეა. ჩვენ გვახსოვს ამხანაგ სტალინის სიტყვები, რომ „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას".

პოლონელმა ხალხმა მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად, რომლებსაც წინ უძღვის დიდი საბჭოთა კავშირი, თავის ხელში აიღო მშვიდობის დაცვის საქმე. პოლონელმა ხალხმა იცის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი განვითარებისათვის და მისი ეკონომიური, კულტურული და თავდაცვითი ძლიერებისათვის. პოლონელი ხალხი ამ გზაზე ძალებს არ დაზოგავს. (ხანგრძლივი ტაში, შეძახილები გენერალისიმუს სტალინისა და პრეზიდენტ ბერუტის პატივსაცემად).

ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა დელეგაციას და ამხანაგ მოლოტოვს გადასცენ საბჭოთა კავშირის ხალხებს, საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადს დიდ სტალინს, რომ გამსჭვალული ვართ მათდამი უდიდესი ერთგულების, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით. (ხანგრძლივი მძლავრი მანიფესტაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).

გთხოვთ გადასცეთ ჩვენი მხურვალე მადლობა პოლონეთის განთავისუფლებისათვის და აუწყოთ, რომ ჩვენში დიდი პატივისცემით იმ საბჭოთა გმირების ხსოვნისადმი, რომლებიც დაეცნენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გთხოვთ გადასცეთ საბჭოთა კავშირის ხალხებს და დიდ სტალინს ჩვენი მადლობა იმ ყოველმხრივი და უანგარო დახმარებისათვის, რასაც ისინი მუდამ გვიწევენ ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განვითარების საქმეში. გთხოვთ გადასცეთ, რომ პოლონელ ხალხს საბჭოთა კავშირი მიაჩნია მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის ძალების ბურჯად, რომ მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში, რასაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობს, პოლონელი ხალხი არ დაზოგავს თავის ძალებს. (ხანგრძლივი ოვაცია, შეძახილები ამხანაგ სტალინის და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად).

ჩვენ ვთხოვთ ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალბანეთის, მონღოლეთის დელეგაციებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ჩვენს დღესასწაულში, გადასცენ თავიანთ ხალხებსა და მთავრობებს ჩვენი მხურვალე სალამი და მადლობა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავს აღვნიშნავთ დღეს ჩვენი მიღწევების გამო სიამაყით აღსავსენი და ჩვენს შემდგომ განვითარებაში დარწმუნებულნი, იმის შეგნებით გამსჭვალულნი, რომ იზრდება ძალები მშვიდობის საერთაშორისო ბანაკისა, რომლის ერთ-ერთ რგოლსაც ჩვენ შევადგენთ.

პოლონეთის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავზე ჩვენ მოვუწოდებთ ხალხის პატრიოტული ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისაკენ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეთაურობით დემოკრატიული ბლოკის ყველა პარტიის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, მშვიდობისა და ექვსწლიანი გეგმისათვის ბრძოლაში ეროვნული ფრონტის რიგების შემჭიდროებისაკენ.

მომავლის რწმენით გამსჭვალულნი, ჩვენ გავწევთ წინ ჩვენი ხალხის ახალი ისტორიული გამარჯვებებისაკენ!

გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს—სახალხო პოლონეთს! (ტაში). დაე მტკიცდებოდეს ეროვნული ფრონტი მშვიდობისა და ექვსწლიანი გეგმისათვის ბრძოლაში! (ტაში).

გამარჯვება და განმტკიცება მშვიდობისა და პროგრესის საერთაშორისო ბანაკს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს! (ხანგრძლივი ოვაცია, ყველა შეკრებილნი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები: სტალინ! სტალინ! გაუმარჯოს დიდ სტალინს!).

თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გლეხთა დელეგაცია

თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გლეხთა დელეგაცია, რომელიც იმყოფება საბჭოთა კავშირში საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის გამოცდილების შესასწავლად. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ერთპიროვნული მეურნე გლეხები, საწარმოო კოოპერატივების წევრები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობათა მუშაკები, რესპუბლიკის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დელეგაციას მეთაურობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარე დეგეი იმრე.

ვაგზალზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ვ. მირიანაშვილი, საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრი ამხ. გ. ალავიძე, საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრის მოადგილეები ამხ. მ. ბუჯიაშვილი და გ. შავგულიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ი. კახიანი და სხვები.

დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ინახულეს ქალაქის ისტორიული ადგილები, დაკავშირებულნი ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან, დაათვალიერეს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი.

დელეგაცია რამდენიმე დღეს დაჰყოფს საქართველოში. იგი ეწვევა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებს, ჩავა ქალაქ გორში. (საქინფორმი).

პოლონეთის აღორძინების დღის აღსანიშნავად

ვარშავა, 23 ივლისი. (საქდესი). პოლონეთის მშრომელებმა დიდი საწარმოო წარმატებებით აღნიშნეს პოლონეთის აღორძინების დღე. მწყობრში ჩადგნენ ახალი სამრეწველო საწარმოები, საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულებანი.

21 ივლისს, დღესასწაულის წინადღეს, პროდუქციის გამოშვება დაიწყო ქალაქ ოპოლეს ცემენტის ქარხანა „ოდერმა", რომელიც უდიდესია პოლონეთში. ოპოლეს სავოევოდოს ქალაქ ბჟეგში ამუშავდა მცენარეული ზეთის ქარხანა, რომელიც უდიდესია პოლონეთში და ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში. ქარხანამ გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე 70 დღით ადრე დაიწყო პროდუქციის გამოშვება. ქალაქ ვროცლავში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პოლონეთში უდიდესი მაკარონის ფაბრიკა, ქალაქ გნეზნოში მწყობრში ჩადგა ტყავეულის დიდი ქარხანა.

21 ივლისს, ვადაზე ორი თვით ადრე დაიწყო პროდუქციის გამოშვება პეტროკოვის საფეიქრო კომბინატმა. კომბინატის მშენებლობის გეგმები, ტექნიკური დახმარება და მთელი მანქანები კომბინატისათვის მიღებულია საბჭოთა კავშირიდან.

დარბაზობა ვარშავის საბჭოთა საელჩოში სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

ვარშავა, 23 ივლისი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პოლონეთში ა. ა. სობოლევმა საბჭოთა საელჩოში დარბაზობა გამართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი მეთაურობს და რომელიც ვარშავაში ჩამოვიდა პოლონეთის აღორძინების მე-7 წლისთავის დღესასწაულზე.

დარბაზობას დაესწრნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები, პოლონეთის მთავრობის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის მეთაურობით, პოლონეთის მარშალი კ. როკოსოვსკი, ცენტრალური პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლონეთის ჯარის გენერლები და ოფიცრები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების წევრები და ვარშავაში აკრედიტებული უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლები.

დარბაზობამ მეგობრულ, გულითად ატმოსფეროში ჩაიარა.

სახელმწიფო პრემიების მინიჭება პოლონეთში

ვარშავა, 23 ივლისი. (საქდესი). პოლონეთის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადებით დაადგინა პოლონეთის აღორძინების დღესასწაულის აღსანიშნავად მიანიჭოს სახელმწიფო პრემიები მეცნიერების, ტექნიკური პროგრესის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მიღწეული წარმატებებისათვის.

მეცნიერების დარგში მინიჭებულია პირველი ხარისხის 14 პრემია. მეორე ხარისხის პრემია მიენიჭა 25 მეცნიერს და მესამე ხარისხისა—12 მეცნიერს.

ტექნიკური პროგრესის დარგში პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიები მიენიჭა 7 კაცს.

მეორე ხარისხის პრემიები მიენიჭა 7 კაცსა და 6 კოლექტივს. მესამე ხარისხის პრემიები მიეკუთვნა 14 კაცს და ინჟინრების, ტექნიკოსების, მექანიკოსებისა და ოსტატების 19 კოლექტივს.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიები მიიღო 5 კაცმა და 2 კოლექტივმა, მეორე ხარისხისა — 11 კაცმა და 5 კოლექტივმა, ხოლო მესამე ხარისხისა — 8 კაცმა და 3 კოლექტივმა.

ლაურეატთა შორის არიან პოეტები იულიან ტუვიმი და ლეოპოლდ შაფი, კომპოზიტორი შ... ლივოვსკი, პოლონური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მაზოვშე" სიგეტინსკის ხელმძღვანელობით, პოლონური თეატრის კოლექტივი, მხატვარი ადამ ტარპე და სხვ.

მოსავლის უდანაკარგოდ აღება და პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სახელისა და ღირსების საქმეა!

★

პური ბაზალეთიდან

ჯერ ბნე არ ამოსულა, ბაზალეთის საკოლმეურნეო ყანებში კი უკვე შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეთა ბრიგადები ავსებენ „ტრაქტორებისა და კომბაინების ბუნკერი ავსებს ავტომანქანებს...

ანწისქვედიდან დაწყებული ტინის ტყემდე ფილის ბინდში ნაზ-ოქროსფერად მოფილავე ეკვა, ბალეშში ნაძირული კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო სოფელი. ამ ორი თვის ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი მიწა. ბალეთი მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაჭაობებული იყო, ეიება და შიმშილი აწუხებდა აქაური სოფლებს. ბაბალეთი ხელისუფლების წლებში ბაზალეთის ტბის მიდამოებიც სახე იცვალა. ახლა ეს ტბა გლეხაცის მეტი ალარ არის. კოლმეურნეებმა მისი მიდამო უნდა მოსავლის წყაროდ გადაკეთეს. მის გარშემო დარგულია ბრაგალი ათასს მეკნარე. რამდენიმე წლის შემდეგ აქ ეკალმოფენილი ტყის ზოლი—ქარსაცავი. ეს ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ზრდას, უფრო მშვენიერს გახდის ყარაბლას.

ბაზალეთლებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის საპატიო საქმეში. საშბაროს სტალინის, ბაზალეთის ბერიას და ბოლოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებმა, რომლებიც ტბის ბარშემდა მდებარეობენ, შარშან რამდენიმე ათეული ჰექტარი ახალი მიწა ითვისეს. ამ ფარობებზე ახლა პურის ბარაქიანი ყანებია. ახალ მიწებს ეულაც ითვისებენ.

კოლმეურნეობებმა შარშან პირველად გამოიყენეს მინერალური სასუქი, საღეთესოდ დაამუშავეს ნათესები, ზუსტად განაზორიეულეს აგროტექნიკური ღონისძიებანი, —აი რით უნდა აიხსნას წლეულწლეული უხვი მოსავალი.

კოლმეურნეობათა გამსჯავლებას შემდეგ გამოვლინდა მოსავლიანობის ზრდის ახალი შესაძლებლობანი. ფარეო გასაკნი მიეცა მექანიზაციას. ბაზალეთის ველის კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო სამეზოოთა ნოსტოცდათი პროცენტი მექანიზებულია. სოფლებს ახლა მრავალი მექანიზატორი ჰყავს. საშბაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან თხეთმეტი კაცი მუშაობს ტრაქტორისტად, კომბაინერად.

შესანშნავად ფლობენ უახლეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ახალგაზრდა კოლმეურნეები ბრიგადა ია ირაკლი ჩანგალიები, გიორგი და ვახტანგ ბოდავაელები, ნიკოლოზ ველაკაშვილი, რეზო ჩანდირი, ვლადიმერ ყარამანაშვილი, ალრო ბაშარაძე, ხეთისო ყორტელაშვილი, ალეკსანდრეული. სიუკეთესოდ მართავენ კომბაინებს ამ სოფლის მკეადრნი პაველ ჯინჭარაშვილი და ალადიმერ ჩანდარი.

სამი კომბაინი შუმაობს ბაზალეთლების, საშბაროელებისა და მლაშულების ყანებში. კომბაინერები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, საშუალება მისცენ კოლმეურნეებს ამფენინონ დღეში შესასრულონ პურის ჩაბარების საალაფიფო გეგმა.

კოლმეურნეებს უყვართ კომბაინი, პატივს სცემენ ამთ, ვინც იცის ამ მანქანის მართვა, მისი მექანიზმების ხალდამლოგა".

ჩვენ ეწვიდეთ „სტალინეც—6"-ის მარკის კომბაინს. ბინა ლამაზი ყორეულია ყანაშია ჩამდგარი. მას მართავს საშბაროელი პაველ ჯინჭარაშვილი. დიდი ხანი არ ანის, რაც კომბაინი მტს-ში მიიღეს, მაგრამ პაველმ ამფენინე დღეში შეძლო მისი რთული დეტალების შესწავლა. პირველ დღეს მოსავალი მხოლოდ შვიდ ჰექტარზე აიღო, მაგრამ ახლა დღეში თორმეტ-თოთხმეტ ჰექტარს ბელ და სამას-სამასორმოცდაათ ცენტნერ ხორბალ ლეწავს.

კომბაინი მაპყავს ტრაქტორს, რომლის საჭესთან ზის ახალგაზრდა ტრაქტორისტი, დუშეთის საქალაქო საბჭოს დეპუტატი მიხეილ ჯიკაძე.

საკოლმეურნეო სოფლის ეს წარჩინებული ადამიანები მეშუბეებს საათობრივი გრაფიკით. ისინი მარტო ლოსინთ მკას როდი დასჯერდნენ, კომბაინზე ტრაქტორისა ძრავიდან გაიყვანეს ელექტროშუქი და ახლა ღამითაც იღებენ მოსავალს.

როცა სიბნელე ჩამოწვება, ბაზალეთის ველზე მოძრაი ჩირაღდანი ჩანს. სოფლელებმა იციან, რომ ეს პაველ ჯინჭარაშვილის კომბაინია.

ამ ნაკვეთებში, რომლებსაც კომბაინი ვერ მიუღგება, მოსავალს ხელით იღებენ. ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ოთხი ბრიგადაა, რომლებსაც ივანე სუბარშვილი, ივანე ეფრემეული, ფიოდორ ხელეფიძე და ზალეა დურგალშვილი ხელმძღვანელობენ, მუშაობას წყვეს დილით ადრე, როცა თავთავი ცვარით არის დაფენილები. ამ დროს მკა ადვილია და დანაკარგები არ ანის.

შესანშნავად შრომობენ და მკის ნორმებს გადაჭარბებთ ასრულებენ ნესტორ ბიჩიკაშვილი, ნიკოლოზ ფეიფეული, გიორგ ეფრემეული, ვანო გელაიაშვილი, მაგდან ფალიაშვილი და სხვები.

საშბაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ალეთ ორმოცდაათ ჰექტარზე უნდა აიღონ მოსავალი. ამჟამ აღებულია ორმოც ჰექტარზე. მკაში თავი გამოიჩინეს კოლმეურნეებმა გრიგოლ ყარსიაძეშვილმა, თეფლ ბეკაძემ, დიმიტრი შაბურიშვილმა, სიმონ ჩიხელიძა, თაბარ ლაზარიშვილმა, თამარ გვრიტიშვილმა, გოგია ნაგლაშვილმა.

მოსავლის აღებასთან ერთად დაიწყო ლეწვაც. სახელმწიფოსთვის პირველი გაწილეული საკუთრების ხარისხის ბარეკეულეული ჩაბარება აქ უკვე ტრადიციად გადაიქცა. ბაზალეთის ველზე გამოჩენილმა კოლმეურნეობებმა „ზაგოტზერნოს" მიმდებ პუნქტს უკვე რამდენიმე ათეული ტონა მარცვლეული ჩააბარეს.

კოლმეურნეები ებრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. ამაში მათ დიდ დახმარებას ეწევიენ მოსწავლეები, მოსაბრები. მოსავლის აღება თვითეული კოლმეურნეობის ეროვნული გამოცდაა.

ბაზალეთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ამ გამოცდას კარგად აბარებენ.

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას ემსახურებიან კოლმეურნეობათა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, სოფლის მთელი აქტივი, აგრონომები, მასწავლებლები, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მეშუკები, დეპუტატები.

კოლმეურნეები სიხარულს მოუცავს, რადგან მოიყვანეს ეს უხვი მოსავალი და ამით თავიანთი ვნელი მეიტაკეს ეს ბრეიობის საქმეში, ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის საპატიო საქმეში, საბჭოთა ადამიანების ძლევამოსილების კეთილშობილურ საქმეში.

ბოდის ხორბლის უხვი მოსავალი ბაზალეთის გაწეული ეკლიდან.

ა. ბოგდანიძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ა. ოთმაკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მეცხეთის რაიონის სოფელ წერეოსის კირიოვის სახელობის კოლმეურნეობაში ხორბლის უხვი მოსავალია. კომბაინერმა ი. დავითაშვილმა ხორბლის მოსავალი უკვე აიღო 200 ჰექტარზე. **სურათზე:** კომბაინი სამუშაოზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სასიხარულო შედეგი

ასეთი ბარაქიანი მოსავალი კარგა ხანია არ ჰქონიათ თბილისის გარეუბნის რაიონის შრომელებს. მათ სერიოზული ნელილი შეაქეთ საკრთველოს საკეთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში. გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმეფოსთვის პურის ჩაბარების გეგმა და ახლა ხორბლის გეგმის გადამეტებით ებრძვნენ.

ხორბლის მასობრივი აღება 20 დღეა მიმდინარეობს. მოსავალი აღებულია 7.772 ჰექტარზე. ზოგან ხორბლის მოსავალი ჰექტარზე 30 ცენტნერს აღწევს. მომკისთანავე კოლმეურნეებმა ძნა მიაქეთ სალეწ პუნქტზე და ზვინებად დგამენ. ფეთოლიდ ფაჩიდან ლეწავ.

მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებს სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. დანელია). კოლმეურნეები და მექანიზატორები დაძაბულად ზრუნავენ მეკანა და ლეწვაზე. კომბაინს შესანიშნავად მართავს მარტყოფის მტს-ის კომბაინერი მიხეილ ბერეაშვილი. ეგი მკას ყოველდღიურ ნორმას ერთნორად ასრულებს. მის მიერ გალეწილი მარცვლეული მთელი ბეთა დგას. ბერეაშვილის პირველი ბრიგადის ნაკვეთში (ხელმძღვანელი რევაზ დალაქიშვილი) ერთ დღეს 18 ჰექტარზე აიღო მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი პური მიიღო. 40 ჰექტარი ფარეთობის თვითეულ ჰექტარზე ეს ბრიგადა 30 ცენტნერ ხორბალს მოეღლის. დაწინაურდა მეორე ბრიგადაც, რომელსაც ილარ მამალაშვილი ხელმძღვანელობს. აქ 13 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 27 ცენტნერი პური მიიღეს. კოლმეურნეობაში წელს 3-ჯერ მეტ ხორბლის მოსავალს იღებენ, ვიდრე შარშან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დახაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. მკელებს კვალდაკვალ მოყვებიან მოზარდებისგან შემდგარი თავთავის ამკრეფთა სპეციალური ჯგუფები.

მშეენიერი სანახაობა სოფელ გლდანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ყანები. აქ პიონერული მოსავალი უკვე აღებულია 792 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე წელს შარშანდელთან შედარებით 8 ცენტნერით მეტი ხორბალია მიღებული, ცალკეულ ნაკვეთზე 30 ცენტნერით მეტი ხორბალია მოღებული. ამაღალთან, მეხუთე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. ამეფაშვილი) 64 ჰექტარზე აიღო მოსავალი და თვითეულ ჰექტარზე შარშანდელ მოსავალს 10 ცენტნერით გადაჭარბა. ცალკეულ ნაკვეთზე ამ მოწინავე ბრიგადამ 30 ცენტნერი პური მოიყვანა.

კოლმეურნეობებს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში დიდ დახმარებას უწევენ დიმიტ მტს-ის (დირექტორი მ. დოლიძე). მტს-ს სეზონში პურეულის მოსავალი უნდა აიღო 1.800 ჰექტარზე; 22 სამეშაო დღეში უკვე აიღო 1.815 ჰექტარზე, მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს სეზონში გეგმის გადამეტებით ზეფეტისა და დიდების კოლმეურნეობებში პურეულის მოსავალი აიღონ 200 ჰექტარზე. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი ზ. ამაშვილი, რომელმაც კომბაინ „სტალინეც — 6"-ით აეკალოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 20 სამეშაო დღეში ნაკვეთად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა მოსავალი აიღო 320 ჰექტარზე. პურეულის მოსავალი მარშალდელთან შედარებით საშუალოდ 3ჰექტარზე 8-9 ცენტნერით მეტია.

კარგად მუშაობს კომბაინერი ვასილ ელანაძე. ზან კომბაინ „კომუნარით" პურეულის მოსავალი 18 სამეშაო დღეში ნაკვეთად გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარისა უდანაკარგოდ აიღო 180 ჰექტარზე, ხოლო კომბაინერმა ივანე პიანერეკაძ აკეალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმის გადამეტებით მოძალ 50 ჰექტარი და ცალკეული ნაკვეთების ყოველ ჰექტარზე 25 ცენტნერი ხორბალი მიიღო.

კარგად მუშაობენ მარტყოფის მტს-ის მექანიზატორებიც. მათი ვალდებულება იყო 25 სამეშაო დღეში მოსავალი აეღოთ 2.700 ჰექტარზე; ფაქტიურად კომბაინების სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად 20 სამეშაო დღეში მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს 2.823 ჰექტარზე. კომბაინერი ანტონ ყელიაშვილი სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბერეულის მოსავალის აღების ყოველდღიურ დაკალებას 140-150 პროცენტით ანაღდებს, ხოლო მიზელ ოსიაშვილმა გეგმის გადამეტებით უკვე მოძალ 20 ჰექტარზე მეტი პური.

კოლმეურნეთა და მექანიზატორთა დაფალავი ბრიგადის შესანიშნავი ნაყოფიერ თვალწინ გვაქვს. ხორბლიან დატვირთული ავტომანქანები განეწყვეტლივ მიდის ბელლეთისაკენ. უეიველია, გარეუბნის კოლმეურნეები გასამტალეტენ მოაბოვებულ წარმატებებს და ახალი ენერგიით შეუდგებიან ბრძოლას ხორბლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

შ. ჭოტაშვილი
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

კასპის მტს-ი კვლავ ცუდად მუშაობს

პურის უხვი მოსავალია კასპის რაიონის კოლმეურნეობებში. ბევრ კოლმეურნეობაში მოსავლიანობა ჰექტარზე 22-25 ცენტნერს აჭარბებს. მოწინავე კოლეეურნეობები აძლიერებენ მოსავლის აღებასა და სახელმწიფოსთვის პურის ჩაბარების ტემპს.

მაგრამ მოსავლის აღებას საქმეში ამ ბევრი სერიოზული ნაკლია. ცუდად მუშაობენ კასპის მტს-ის კომბაინერები. მტს-ი სათანადოდ არ მოემზადა მოსავლის ასაღებად, მაღალხარისხოვნად არ შეაკეთა მანქანები.

თეფლ თარაშვილმა კომბაინ „კომუნარით" მოსავლის აღება 19 ივლისს დაიწყო ქვემო ჯალის კოლეეურნეობაში და ამ დღეს მხოლოდ ერთ ჰექტარზე შეძლო მოსავლის აღება. მეორე დღეს, 20 ივლისს, კომბაინი უმოქმედოდ იდგა, რადგან ტრაქტორი შეეცალეს და სამაგიერო ტრაქტორის მოლოდინში ომბაინის აგრეგატს მთელ დღეს არაფერი გაუკეთებია. 19 და 20 იელისს კომბაინით მოსავალი მხოლოდ ერთნახევარ ჰექტარზე იქნა აღებული. ნაწილის გაფუჭების გამო ამ კომბაინს არც 21 ივლისს უმუშავია საღამომდე.

კასპის მტს-ის დირექტორმა ამხ. შ. ხორიაშვილმა აიხსნიშელი კომბაინი რამდენჯერმე ინახულა, მაგრამ მარტო ნახვა საქმეს რიდი შეელოს: ცუდად შეკეთებული კომბაინი ხშირად ფუჭდება, ხოლო ამ მდგომარეობის გამო სასწორებლად ქმედით ზომებს ის არ იღებს.

სოფელ იგოეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალს იღებენ წვთელწყაროს რაიონის მტს-ის კომბაინით. 20 ივლისს კომბაინი რამდენიმე საათით მოცდა ზეთის უქონლობის გამო; 21 ივლისს კომბაინს ამუშავებდა კომბაინერის თანაშეშენ გ. ბიბინაშვილი, რომელიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდა დაკისრებულ საქმეს: მთელი დღის განმავლობაში ის ცუდად იღებდა მოსავალს, ნამკალს დიდი რაოდენობით აყოლებდა თავთავს, ბეერს მაოლ სჭრიდა, რაც დიდაძალ ფაკარგ, იწ.ცედა. გარდა ამისა, კომბაინს გაუფუქდა ბორბალი ნამკალს ვედრობით ეიღებენ; ბუნკერის ყოველ დაცლას ნახევარ საათს უნდებოდნენ. ამ დღეს კომბაინმა ნახანგრეოდაც ვერ შეასრულა მოსავლის აღების დავალება. კომბაინის აგრეგატზე მოუწესერიგებელია ზრუნვა. აგრეგატს თითქმის ყოველდღე ნახულობენ მტს-ის მეშუკეები, ავრიდან დირექტორი ამხ. ხორიაშვილი, მაგრამ კომბაინს თავისად არ თვლიან და ამიტომ არც მისი ნორმალური მუშაობისათვის იწუხებენ თავს.

სოფელ ჩობალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, მოსავალს იღებს წვთელწყაროს რაიონის ქედის მტს-ის კომბაინერი ვ. თეფნიეული. ეს კომბაინი ხშირად ცდება მტს-ისა და კოლმეურნეობის მიზეზით. მტს-ს, საკმაო რაოდენობით არ აძლევს კომბაინისათვის საწვავ-საცხებ მასალას. ამ დღეებში ზეთის უქონლობის გამო მანქანა რამდენიმე საათს მოცდა. კომბაინზე მოუწესერიგებელია მარცელის ყუნა და გადაზიდვა. კომბაინისგან საწყობში ხორბალის ავტომანქანით ეზიდებიან, ავტომანქანის სხვა საქმეზე გამოყენების დროს კი აქვეა ერთი საბიდარი, რომლითაც პურის გადაზიდვას ვერ ასწრებენ და კომბაინი დადგმას არის ხოლმე განრეფილი.

შეფერხებით მეშუობს სოფელ მეტეხის კოლმეურნეობაში კასპის მტს-ის კომბაინი, რომელსაც ნ. პატარკაცშვილი მართავს, საწყოებს დაზიანების გამო ეკ კომბაინიც ხშირად ჩერდება. მტს-ის მომრაკი სახელოსნო ცუდად მეშუობს, საკმარისად არა აქვს კომბაინებისათვის სხვადასხვა ნაწილები.

ნელი ტემპით მიმდინარეობს მოსავლის აღება სოფელ ნიგოზის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მკაზე გამოყენებული არ არის მთელი ძალები, არ წარმოებს თავთავების აკრეფა, ქიანურდება პურის გაწმენდა-დაბარისხება. კოლმეურნეობა ვერ ფაქნებს დასაბარებლად მისულ ავტომანქანებს. საკარადეული სოფლიმპარაგების კასპის გახეფილების ავტობაზა (ძმელი ოთარ ზვიასიანაშვილი), რომელიც პურის წამისაღებად გაგზავნეს, კოლმეურეობამ ცარიელი გამოსტეტმა კასპში.

პურის გადაზიდვაზე გამოყოფილ ავტომანქანებს დატვირთვით არც სხვა კოლმეურნეობებში აყენებენ. „ზაგოტზერნოს" ბაალეების რაიონის ავტომძღოლები ლისეკო და განდეი სოფელ ნოსტეს საკაძის სახელობის კოლმეურნეობამ მთელი დღე მოაცდინა, რადგან ჩასაბარებელი ხორბალი კოლმეურნეობას გამზადებული ამ ჰქონდა. ავტომძღოლები ჯანაშვილი, აკოშელი და აკეტანიძე პურის გადმოსაზიდავად სოფელ ხოვლეს კოლეურნეობაში 20 ივლისს დილით გამეცალადნენ, მაგრამ კოლმეურნეობის მეხზეხით მხოლოდ საღამოს დაბრუნდნენ კასპში. ავტომძღოლი აკოშელი ოფელ დღესის კოლმეურნეობამ ცარიელ გამოსტეტმრა კასპში. ასეთი შემთხვევები სხვა კოლმეურნეობებშიც არის.

კასპის მტს-ის ზონაში კვლავ ჩაეურეგება ნაკლოვანებანი. ასეთი შემთხვევა მტს-ის ხელმძღვანელობამ უკეთ ადეს ეკასეხისმგებლო. დამოკიდებულება კომბაინებისა მეშუობისადმი, სრული დატვირთვით გამოყენონ მანქანები.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რედაქციისაგან: მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსთვის პურის ჩაბარების ამ გადამწყვეტ დღეებში კომბაინების ხშირი მოცდენა აშკარა დანაშაულია. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ცენტრალ მისმა მტს-ების სამმართველომ სათანადო დასკვნა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან, უფრო ცოცხალი კავშირი დაამყარონ მტს-ებთან, გადაჭრით გააქილიერონ მექანიზატორებისადმი დახმარება, სასწრაფოდ მიიღონ ზომები მტს-ების კომბაინთა ნორმალური მეშუობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ვალდებულნი არიან დაამყარონ წესრიგი კასპის მტს-ში, მიიღონ ზომები კომბაინებისა და ავტომანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის, გამოასწორონ სერიოზული ნაკლოვანებანი პურეულის აღებისა და გადაზიდვის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჭოსანში

კომბაინის ზემო ნაწილი ოდნავდა მოჩანდა. იგი თანდათან დაპატარავდა და ბოლოს თვალს მოეფარა. კომბაინს „სტალინეც—6" მართავდა კახეთიდან ჩამოსული მექანიზატორი ანდრო ჩეკურიშვილი.

— ხუთმეტი-ოცი წუთი უნდა თითო შემოვლას ჩეკურიშვილი, — თქვა ქსეფისის მტს-ის მექანიკოსმა ჯაბა ყორეულიანმა.

სანამ ველის ხომალდი თავის საქმეს აკეთებდა, ჯაბა გვიამბობდა ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის დასახმარებლად კახეთიდან ჩამოსულ მექანიზატორზე, ძის შოთის მამაკაცობაზე.

ძლიერ ცხელა. მაგრამ უხვი მოსავლის ოსტატები არ ერიდებიან მზეს. მინდორი სავსეა ხალხით. მიმოქრიან ავტომანქანები. ფერდობზე, სადაც კომბაინი ვერ მიეღგება, ჩამშეკრეგებულან მეცელავები, ბულლუტებს შორის შენაშნავ მოზარდებსაც, რომლებიც ასრულებენ შედარებით მსუბუქ, მაგრამ მეტად საჭირო სამეშაოს—თავთავებს კრეფენ. სოფლის ახალგაზრა ადამიანი ასეთ ცხარე დღეებში მინ ვერ გაჩერდება. ნაამაგარ მინდვრებში მკლავის გაშლა ეამება ადამიანს.

ჯაბა ყორეულიანი ქვემით ისსენიებს ახლადგაცნობილი კახელი მექანიზატორის შრომას.

მანქანიდან გადმოდის ოქროსფერი მარცვალი. მოსავალი ჰექტარზე თექვსმეტ-ოცდაერ ცენტნერს აღწევს. მექანიზატორის დახმარებით ქმაყოფილი ორად მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელები, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი რამაზ ელეფი, პურის უხვი მოსავლისათვის აქტიური მებრძოლი ლადო დრაგეი.

მაგრამ მექანიზატორის დახმარებას არ მოუდებენა სოფლის განიმქმელი მეცელავების სიფხიზლე. განთიადიდან ბინდამდე და მთვარითან ღამეებშიც თვითეული წუთი ძვირფასია მათთვის.

პირველ რიგში ქებით მოიხსენიე მეცელავი ბესა კეტდუხოეი.

— ბარაქიანი წელიწადია,—ამბობს ეგი,—ასეთ ყანაში შრომით როდი ეღლება კაცს მარჯვენა...

გაიტანს სერელს და მხარზე ცელგადებული კვლავ ბრენდება ბესა. დადგება სათავეესთან, ღიმილით გახედავს მჭიდროდ შეკრულ თავთავებს. ბევრი შრომა დასჭირდა ასეთი ყანის მოყვანას, და დამშიდება არ შეიძლება, ვიდრე მთელი მოსავალი არ იქნება დამბინავებული!

იყო წლები, როცა კოლმეურნეობა პურეულის მოსავლიანობის გეგმას სანანერეოდაც ვერ ასრულებდა. ახლა კი თვითეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით სამოცოთხი ცენტნერით მეტ პურს იღებენ ორჭოსანში. ეს ახლებურად მუშაობის ნაყოფია, ეს სტალინური დავალების შესრულებისათვის სოფლის უბრალო ადამიანების ბრძოლის ნაყოფია.

მინდორში ვხედავ ორჭოსნელი გოგონა რუსუდან ნავაეეი. იგი ოცოდე მოზარდისაგან შემდგარ თავთავის მკრეფავთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა. მისი ჯგუფი გულმოდგინეედ შრომობს. ადამიანები თავთავზე თავთავს ეტატებენ და მერე ოქროსფერი თავთავებს „თაიგულებს" წინასწარ ამორჩეულ ადგილზე აბავებენ.

რუსუდან ნავაეეს გაეძნელოდა დაესახელებინა თავთავის კრეფაში დაწინაურებულნი. როგორც მერე გამორკვა, ყველაზე უკეთესად მუშობენ ზაარა, ოლია მელაძეები, მარიამ, ოთარ ბოლათაეეები და სხვები.

საწარმო ბრიგადეს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ შედეგებს აღწევს მესამე ბრიგადა, რომელსაც კომერსიტი ლადო დრიაეი ხელმძღვანელობს. ბრიგადის დაწინაურება იმის შედეგია, რომ აქ კარგად იყენებენ ქალთა შრომას. ბიჯითითბით გამორჩეეა სტახანოველი კოლმეურნე ასიანი კუდუხოვა, მას მხარს უჭერენენ მაში დრიაეეი, რუსან კუდუხოვა და მრავალი სხვა.

სოფელ ორჭოსნის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ პირველი განლეწილ პური უკვე გაგზავნა სახელმწიფო ბელლისაკენ. წინათ დამამშვიდეები პუნქტისაკენ ურმებით ეზიდიბოდნენ ახალ მოსავალს. ახლა კოლმეურნეობის ავტომანქანებმა გააადვილეს ეს საქმეც. ორასორმოცდაათ ჰექტარზე იღებენ პურეულის მოსავალს ორჭოსნელი კოლმეურნეები. მათ პირველ ღღეებში მუშაობს კარგი ტემპი აიღეს. იგი მომავალშიც არ უნდა შეეწელეს. უხვი მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ უნდა დავაბინავოთ.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სრული დაგვირთვით გამოვიყენოთ მანქანები

კარგად მუშაობს ხაშურის მტს-ის 11 კომბაინი და 8 სალეწი მანქანა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი ზალეა მოსაბერეი. მან სოფელ ვაყის ორჯოლნიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ექვს სამეშაო დღეში „სტალინეც-6" მარკის კომბაინით პურეული ნაკვეთად გეგმით გათვალისწინებული 72 ჰექტარისა აიღო 110 ჰექტარზე. ბეეკითად მუშობენ აგრეთვე კომბაინერები გიორგი მუმლიური, ვასილ ბოლოკაძე, მიხეილ სარალიე, ვასილ ქალიაშვილი და სხვები.

დღითიდღე ძლიერდები პურის დამზადების ტემპი. სოფელ შორამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. გრიგალაშვილი) კარგად არის მოწყობილი შრომა. აქ კომბაინების მიერ გალეწილი პურის ბაწყნენდა და გახმობა შეუფერხებლად წარმოებს. პირველ განლეწულ მარცვლეულს სახელმწიფოს ებარებენ.

კარგად მუშაობენ ქვემო ოსიაურის შეერნეკის, სავანინს უბნის მალენკოვის, ტეზრის და თაგვეთის კოლმეურნეობები.

მოსავლის აღების დღეებში გამოვლინდა ნაკლოვანებებიც. ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. კელეიჯანოვი) ეკონომიკა არ ექეცეა ხორბლის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. თავთავების აკრეფაზე ბეეკითდებული არ არიან მოზარდები. ამ კოლმეურნეობაში არ იღებენ ზომებს სახელმწიფოსთვის კარგი ხარისხის მარცვლის ჩასაბარებლად. არც სალეწი მანქანების მუშობაა უზრუნველყოფილი. სალეწები ცდება აგრეთვე ვეკრიდისუბნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ლაბაძე).

გომის მაღლარეოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ხეთაეური) ამხ. ბიბინაურ თავთავის აკრეფაზე. ეკონომიკურ ნაკლოვანებაა ნაკვეთების განაკვეთეულობა. უმეტესდილ ადგილ კიჭრეთის რაიონის ბადიაურის მტს-ი ოიან ამ დასახმარებლად გამოგზავნილი ცუდად შეკეთებული კომბაინი „კომეკარი", საწყენარად ეს გამონაკლისი არ არის.

უზრუნველეყოთ კომბაინების სრული დატვირთვით მუშობა. დაეხმარეთ პურეულის გალეწვა და პურის დამზადება.

ვ. ბურგენიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანელ მუშათა კომიტეტის მოწოდება

ბერლინი, 21 ივლისი. (საკდესი). ადნ-ის საავგენტო ბონიდან გადმოგვცემს, რომ გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანელ მუშათა კომიტეტმა დასავლეთ გერმანიის ყველა მუშასა და მოსამსახურეს მიმართა მოწოდებით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ დიდად აღგვაშფოთა იმან, რომ „გერმანიის მრეწველობის კავშირმა" თავის საიდუმლო მემორანდუმში მოითხოვა გაუქმდეს პროფესიისა და სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევა, აგრეთვე მოითხოვა გამოიცეს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ახალი განკარგულებანი გერმანელი და ამერიკელი კაპიტალისტების სამხედრო მზადების სასარგებლოდ.

კაპიტალისტი წამქეზებლები კვლავ მოითხოვენ შემოღებულ იქნას შრომის ბეგარა, მუშები განლაგებულ იქნან ყაზარმებში, რათა შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად გამოიყენონ ისინი სამხედრო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში.

ყველა ამ ღონისძიებას კარგად იცნობს მუშათა კლასი ჰიტლერის დიქტატურის დროიდან. ასეთი ფაშისტური მეთოდების გზით სურთ აიძულონ მუშები ამზადონ სამხედრო პროდუქცია, ამასთან ხელი შეუშალონ მუშებს მიაღწიონ ხელფასის გადიდების შესახებ მოთხოვნის შესრულებას.

სამოქალაქო უფლებათა გაუქმების გზით—აზრის თავისუფლად გამოთქმის აკრძალვა, პოლიციური ღონისძიებანი ხალხის გამოკითხვის მოწყობის წინააღმდეგ, გაზეთების აკრძალვა, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ორგანიზაციების სასამსახურო სადგომთა დახურვა, თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის აკრძალვა, ახალი გესტაპოური კანონები, შრომის ბეგარა — ადენაუერის მთავრობას სურს განახორციელოს რემილიტარიზაცია.

გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანელ მუშათა კომიტეტი მოუწოდებს მთელ მუშათა კლასს მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს და გააძლიეროს ბრძოლა თვითნებური და იძულებითი ღონისძიებების წინააღმდეგ, იბრძოლოს ხალხის დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად.

„მუშებო, პროფკავშირთა წევრებო!—ნათქვამია მოწოდების დასასრულს. — დაიცავით თქვენი უფლებანი! გააძლიერეთ ბრძოლა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და გერმანიასთან წელსვე საზავო ხელშეკრულების დადებისათვის! განამტკიცეთ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობა! ამის შედეგად ომის გამჩაღებელთა და მათ ხელშემწყობთა მთელი გეგმები ჩაიფუშება!".

გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალისა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშენებლობაზე"

ბერლინი, 23 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვიდა პირველი ნომერი ილუსტრირებული ჟურნალისა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშენებლობაზე". ჟურნალს უშვებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყება. ილუსტრაციების ტექსტები ერთსა და იმავე დროს მოცემულია გერმანულ, რუსულ, პოლონურ და ინგლისურ ენებზე.

ჟურნალი ასახავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების ძირითად ეტაპებს, უმნიშვნელოვანეს ამბებს, რაც რესპუბლიკაში ხდება, აგრეთვე მისი მშვიდობიანი მეურნეობის განვითარების წარმატებებს.

ადნ-ის საავგენტო შუმახერის გამცემლური როლის შესახებ

ბერლინი, 23 ივლისი. (საკდესი). ადნ-ის საავგენტო იუწყება: როგორც საიმედო წყაროებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატების მეთაურს კურტ შუმახერს დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას ეკავა პატიმართა ზედამხედველის თანამდებობა. მაშინ როცა ბანაკში მყოფი ანტიფაშისტები არაადამიანურ წამებას და ტანჯვას განიცდიდნენ, შუმახერი დიდი შეღავათით სარგებლობდა. მხილების შიშით შუმახერი ახლა ყოველნაირად გაურბის იმ ადამიანებთან შეხვედრას, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ ამ ბანაკში.

დემოკრატიულ პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობები, რომლებიც ამხილებენ შუმახერის გამცემლურ საქმიანობას საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის დროს, სადაც მას არაერთი ანტიფაშისტი ჩაუგდია ხელში გესტაპოსათვის.

ამერიკელთა საომარი მზადება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 23 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საავგენტო ნიურნბერგიდან იუწყება, გასული კვირის დამლევს ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა წარმომადგენლებსა და ბავარიის ხელისუფალთა წარმომადგენლებს შორის ფიურტში გამართული თათბირის შემდეგ გამოცხადდა, რომ გერმანელებს ეკრძალებათ შევიდნენ ერლანგენსა და ნიურნბერგს შუა მდებარე „რაისსვალდის" ტყის ტერიტორიაზე. აქ 3.200 ჰექტარ ფართობზე უახლოეს დროში იწყება უდიდესი საწვრთნელი მოედნის მშენებლობა ამერიკის ჯარებისათვის.

ანტიამერიკული დემონსტრაცია ინგლისში

ლონდონი, 23 ივლისი. (საკდესი). გუშინ უორინგტონში (ლანკაშირის საგრაფო) კომუნისტური პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო ინგლისში ამერიკის ჯარების ყოფნის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ამერიკელთა ერთ-ერთი უდიდესი ბაზა ინგლისში მდებარეობს ბერტონვუდში, რამდენიმე მილზე უორინგტონიდან.

გაზეთ „დეილი უორკერის" კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დემონსტრანტებს შეუერთდა ლივერპულის, მანჩესტერისა და სხვა ქალაქების 350 მცხოვრები.

დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები წარწერით: „ჩვენ, ინგლისელი კომუნისტები, პროტესტს ვაცხადებთ ამერიკული ოკუპაციის წინააღმდეგ", „ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისათვის, ყველა ერთან მეგობრობისათვის, ჩვენი შვილების მომავლისათვის", „არა გვსურს ვიომოთ იანკების დოლარებისათვის!"

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის მომავალი ყოველწლიური კონფერენციის გამო

ლონდონი, 23 ივლისი. (საკდესი). რეიტერის საავგენტო იუწყება, რომ რეზოლუციები, რაც განსახილველად წარედგინება ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციას, რომელიც 1951 წლის ოქტომბერში უნდა გაიმართოს, ბრალად სდებენ ინგლისის მთავრობას იმას, რომ იგი „მონურად ემორჩილება ამერიკის ომის პოლიტიკას".

ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი რეზოლუციების წინასწარი სია შეიცავს ასობით წინადადებას. მათგან ბევრი წინადადება გამოხატავს შეშფოთებას ცხოვრების სიძვირის გამო (ამაზე ლაპარაკია ასზე მეტ რეზოლუციაში), სხვა წინადადებანი შეიცავენ მოწოდებას ხელახალი შეიარაღების ხარჯების შემცირებისაკენ (30-ზე მეტი რეზოლუცია), პროტესტებს სამედიცინო მომსახურებისათვის მთავრობის მიერ ფასის შემოღების წინააღმდეგ; მთავრობის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი დარგის კრიტიკას; კორეიდან ინგლისის ჯარების გაყვანის მოთხოვნას და შეშფოთებას სამხედრო და ეკონომიურ დარგებში ამერიკის „გაბატონებული მდგომარეობის" გამო.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს პრეს-კონფერენცია

ჰელსინკი, 23 ივლისი. (საკდესი). დღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ ჰელსინკში მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც ბიუროს წარმოადგენდნენ ივ ფარჟი (საფრანგეთი), ემილიო სერენი (იტალია), იზაბელა ბლუმი (ბელგია), ემი სიაო (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ილია ერენბურგი (სსრ კავშირი), დარი (ამერიკის შეერთებული შტატები) და გრომადკა (ჩეხოსლოვაკია). ჟურნალისტთა მრავალი შეკითხვის პასუხად ბიუროს წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბიუროს ამ სხდომის მთავარი ამოცანა იყო გამონახა გზები იმ პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის, რომლებიც ამჟამად სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მთელი მსოფლიოს ხალხებში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმატება დამატებითს მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 23 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „სე სუარი" იუწყება ახალი წარმატების შესახებ, რაც საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა დამატებითს მუნიციპალურ არჩევნებში ნანტში (ზემო ვიენის დეპარტამენტი), სადაც არჩეულ იქნა კომუნისტური პარტიის კანდიდატი დევენი, რომელმაც მიიღო 393 ხმა, ე. ი. აბსოლუტური უმრავლესობა.

ფრანგ ახალწვეულებს არ სურთ იომონ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ

შანხაი, 23 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საავგენტო ჩრდილოეთ ვიეტნამიდან იუწყება, ფრანგი იმპერიალისტები ჩრდილოეთ ვიეტნამში მნიშვნელოვანი დანაკლისის შესავსებად ხშირად გზავნიან ცენტრალური და სამხრეთ ვიეტნამიდან ახალწვეულებს ჩრდილოეთის ფრონტებზე საბრძოლველად.

მაისში საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ ტუან-ტიენის პროვინციაში (ცენტრალური ვიეტნამი) ახალწვეულებს უბრძანეს მომზადებულიყვნენ ჩრდილოეთ ვიეტნამის მთიან რაიონებში წასასვლელად, მაგრამ ახალწვეულებმა პროტესტი გამოთქვეს და განაცხადეს: „ჩვენ არ დავემორჩილებით თქვენს ბრძანებას, რადგან არა გვსურს უაზროდ დავიღუპოთ". ფრანგთა სარდლობამ დააპატიმრა 7 ახალწვეული და დახვრიტა ისინი სხვების დასაშინებლად. მაგრამ ამან აღშფოთება გამოიწვია ახალწვეულებში, რომლებმაც უარი განაცხადეს ვიეტნამის ჩრდილოეთ რაიონებში წასვლაზე.

სამხრეთ ვიეტნამში ბარიას პროვინციის ფრანგმა ხელისუფლებმა იანვარში თვითეული ნაწილიდან გადაარჩიეს 60 ახალწვეული ჩრდილოეთ ვიეტნამში გასაგზავნად. ახალწვეულებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს, რამაც მღელვარება გამოიწვია ფრანგთა ნაწილებში და ბაოდაის მარიონეტულ ჯარებში. საფრანგეთის სარდლობამ საპატიმროში ჩასვა ახალწვეულნი.

ლონგ-ჩაუს პროვინციიდან (სამხრეთი ვიეტნამი) ტრი-ტაუს რაიონში დაბანაკებულმა უცხოელ ახალწვეულთა მოითხოვა დემობილიზაცია. მაისში ფრანგმა სერჟანტი და ორი ახალწვეული, რომლებიც დადიოდნენ ბიენ-ხოას (სამხრეთ ვიეტნამი) მარიონეტი ოფიცრების სკოლაში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მხარეზე გადავიდნენ.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 23 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს.

23 ივლისს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი გმირები

ფხენიანი, 21 ივლისი. (საკდესი). კორეის გაზეთებმა გამოაქვეყნეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება კორეის სახალხო არმიის იმ ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ ოფიცრებს — კან ხო ენს, ლი ხენ ენს, პაკ ნი რაკს, ჩენ გი ჩერსა და სერჟანტებს — ნამ სენ ეონს და ლი ბონ ბუს.

შრომის გმირის საპატიო წოდების დაწესება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 22 ივლისი. (საკდესი). გუშინ კორეის გაზეთებმა გამოაქვეყნეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება შრომის გმირის წოდების დაწესების შესახებ. შრომის გმირის მაღალი წოდება ენიჭებათ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისა და სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის.

შრომის გმირს გადაეცემა 1-ლი ხარისხის სახელმწიფო დროშის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

შეიქმნა კორეის განთავისუფლების მეექვსე წლისთავის დღესასწაულის მოსამზადებელი კომიტეტი

ფხენიანი, 23 ივლისი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა საავგენტო იუწყება, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალური დადგენილებით შექმნილია საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მეექვსე წლისთავის დღესასწაულის მოსამზადებელი კომიტეტი.

კომიტეტს სათავეში უდგას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ხონ მენ ხი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი პაკ დენ აი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პროპაგანდისა და კულტურის მინისტრი ხე დენ სუკი, რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწენი და წარჩინებული ადამიანები.

ამერიკის ახალი ჯარები საფრანგეთში

პარიზი, 23 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ 20 ივლისს ნავსადგურ ლა-პალისში მოვიდა ამერიკის გემი, რომელმაც მოიყვანა ამერიკის ჯარები. ეს ჯარები სამსახურს შეასრულებენ ქალაქ შატორუში, რომელიც გადაქცეულია ამერიკის ბაზად საფრანგეთში.

პეტენის გარდაცვალება

პარიზი, 23 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საავგენტო იუწყება, დღეს კუნძულ ილ დიეზე გარდაიცვალა ფილიპ პეტენი.

ამერიკელი იმპერიალისტების მორიგება ფრანკოსთან

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი ლევიერო იუწყება, რომ „პირველი ნაყოფი" ფრანკოსთან წინასწარი მოლაპარაკებისა შეერთებული შტატებისათვის ფრანკისტულ ესპანეთში ბაზების მიცემის შესახებ იქნება ესპანელ სამხედრო კურსანტთა „მნიშვნელოვანი ჯგუფის" გაწვრთნა ფორტ ბენინგის ამერიკელთა ქვეითი ჯარის სკოლაში, ფორტ სილეს საარტილერიო სკოლაში და გენერალური შტაბის სკოლაში, რომელშიც იღებენ მხოლოდ მაიორისა და უფრო მაღალი წოდების მქონე ოფიცრებს.

როგორც ლევიერო აღნიშნავს, „ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ შეიყვანონ ესპანეთი დასავლეთ ევროპის თავდაცვის სისტემაში" (ე. ი. აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში). ლევიერო დასძენს, რომ, როგორც ჩანს, კურსანტები უკვე შერჩეული არიან. „ამრიგად, ამერიკის მადრიდის საელჩომ, როგორც ჩანს, ახლანდელი წინასწარი მოლაპარაკებისათვის საფუძველი უკვე მოამზადა დიდი ხნით ადრე, სანამ განსვენებული ადმირალი შერმანი მადრიდს ჩავიდოდა წარსულ ორშაბათს, რათა დაეწყო მოლაპარაკება ვითარების გამორკვევის მიზნით. წინადადება ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო კურსანტების გაგზავნის შესახებ მიაჩნიათ, როგორც პირველი ნაბიჯი ესპანეთის არმიის მოდერნიზაციისათვის ხელშეწყობის საქმეში".

ლევიერო გულახდილად წერს, რომ ამერიკის გეგმებში ფრანკისტულ არმიას განკუთვნილი აქვს დამკვრელი, აგრესიული ძალის როლი. „ამერიკის შეერთებულ შტატებში ესპანელი კურსანტების გაწვრთნა იარაღის ხმარებასა და ტაქტიკაში,—აღნიშნავს ლევიერო, — მოწმობს, რომ ესპანეთთან განზრახულ შეთანხმებაში გათვალისწინებულია არა მარტო თავდაცვითი ღონისძიებანი".

იუნაიტედ პრესის საავგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ ფრანკოს სამხედრო კურსანტები იგზავნებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი უეგონერი აცხადებს, რომ ადმირალ შერმანის გარდაცვალება „არ მოასწავებს ესპანეთთან სამხედრო შეთანხმების დადების რაიმე არსებითს შეფერხებას..."

იუნაიტედ პრესის საავგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი ტომპსონი, ეხება რა სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, წერს, რომ ამერიკა-ფრანკოს მოლაპარაკების დროს „შერმანმა გულახდილად განუცხადა ფრანკოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ მიიღონ საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ბაზები ესპანეთში", და მოსთხოვა პირობა, რომ „ესპანეთი დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად იბრძოლებს ესპანეთის საზღვრებს გარეთაც კი, თუ ეს საჭირო იქნება".

ახალი მილიარდობით დოლარი გამალებული შეიარაღებისათვის

ტრუმენის ნახევარი წლის ეკონომიური ანგარიში კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 24 ივლისი. (საკდესი). ტრუმენმა კონგრესს წარუდგინა ნახევარი წლის ეკონომიური ანგარიში, რომელშიც კვლავ მოითხოვს შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შემდგომ გადიდებას და სამხედრო წარმოების გაფართოებას, მიუხედავად იმისა, აღდგენილ იქნება თუ არა მშვიდობა კორეაში.

ტრუმენი თავის ანგარიშში აცხადებს: ამჟამად შეერთებული შტატების მთავრობა „ხელახლა იხილავს ჩვენს უახლოეს მიზნებს შეიარაღებული ძალების განმტკიცების საქმეში, და სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ მოგვიხდება ციფრების გადიდება მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში".

ცდილობს რა გაამართლოს შეიარაღებული ძალების შემდგომი გადიდების საჭიროება, ტრუმენი იმეორებს ჩვეულებრივ ცილისწამებას საბჭოთა კავშირის მიმართ.

ტრუმენი აღნიშნავს, რომ ყოველწლიურმა სამხედრო ხარჯებმა მიაღწია 35 მილიარდ დოლარზე მეტს, რაც 50 პროცენტით აღემატება 6 თვის წინათ არსებულ დონეს.

ეს ხარჯები მიმდინარე წლის დამლევისათვის უნდა გაზრდილიყო ყოველწლიურ დონემდე, რომელიც 50 მილიარდ დოლარს აღემატება, ხოლო 1952 წლის შუა ხანისათვის—65 მილიარდ დოლარამდე.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ სამხედრო ხარჯების მოცულობა მკვეთრად გაიზრდება, ტრუმენი კვლავ სთხოვს კონგრესს სულ ცოტა 10 მილიარდი დოლარით გაადიდოს წელს გადასახადები.

პოლიტიკური ტერორი ირანში

თეირანი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტოლუ" იუწყება, პოლიციამ თეირანის „მშვიდობის სახლში" დარბევა მოახდინა არა მარტო იმასთან დაკავშირებით, რომ 15 ივლისს საშინლად დაწყოკეს დემონსტრაცია, არამედ იმასთან დაკავშირებითაც, რომ „მშვიდობის სახლში" იმ საღამოს უნდა გამართულიყო ირანელი ახალგაზრდობისა და სტუდენტობის პირველი ფესტივალი.

ფესტივალის მომწყობმა ეროვნულმა კომიტეტმა ფესტივალზე მოიწვია 600-ზე მეტი კაცი, მათ შორის იყვნენ სახელმწიფო მოღვაწეები, მეჯლისის დეპუტატები, სენატორები, უნივერსიტეტის პროფესორები და თეირანის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე.

როგორც გაზეთი „რასტახიზე ხალკი" იუწყება, პოლიციამ დაარბია მშვიდობის მომხრეთა ირანის საზოგადოების სამდივნოს კანცელარია, რომელიც მოთავსებული იყო „მშვიდობის სახლში", და წაიღო ქაღალდები და დოკუმენტები.

თეირანი, 22 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „რასტახიზე ხალკი" დაწვრილებით იუწყება, რომ ისპაანში მძვინვარებს პოლიციური ტერორი მასობრივ მიტინგთან დაკავშირებით, რომელიც მოიწვია 15 ივლისს „ირანში იმპერიალისტური ნავთის კომპანიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საზოგადოების" ისპაანის განყოფილებამ. დანიშნულ მიტინგამდე ორი დღის განმავლობაში პოლიციამ მოახდინა მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და თვით მუშების მასობრივი დაპატიმრებანი. დაპატიმრებულ იქნა 200-მდე კაცი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელების 20 ხელმძღვანელი, აგრეთვე გაზეთ „ასრარე ხაკის" რედაქტორი გაძევებულ იქნენ ისპაანიდან. მშვიდობის მომხრეთა კლუბი პოლიციამ დაიკავა. 15 ივლისს დილიდან ისპაანის ფაბრიკებში მოვიდნენ პოლიციის, ჟანდარმერიისა და ჯარისკაცების რაზმები. საღამოს ფაბრიკის ჭიშკრები დაკეტილი აღმოჩნდა, და მუშებს ძალით შეუშალეს ხელი წასულიყვნენ დანიშნულ მიტინგზე. სცემეს და დააპატიმრეს ის მუშები, რომლებიც პროტესტს და აღშფოთებას გამოთქვამდნენ. ფაბრიკა „ზაიანდე რუდში" პოლიციელები მუშებს ესროდნენ ცრემლსადენ გაზებიან გრანატებს. სცემეს და დაჭრეს 120 კაცი. პოლიციამ და ჯარებმა ალყა შემოარტყეს იმ მოედანს, სადაც უნდა გამართულიყო მიტინგი. მოედანზე არავინ არ დაუშვეს. მიტინგზე მიმავალ ისპაანელ მშრომელებს ფანტავდნენ პოლიცია და ჟანდარმერია.

ინგლისი ემუქრება ირანს

თეირანი, 23 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „კიამე ხალკის" ცნობით, ინგლისის სამხედრო ხელისუფლებმა ამ უკანასკნელ დღეებში შაიბას აეროდრომზე (ერაყი), ბასრის მახლობლად, გადმოსხეს ათასი პარაშუტისტი.

დანიის წარმომადგენელი სამხრეთ კორეაში არსებული მდგომარეობის შესახებ

კოპენჰაგენი, 23 ივლისი. (საკდესი). დანიის გაზეთებმა დაბეჭდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ საკითხთა დანიელი მრჩევლის ჰ. ო. კოდის ინტერვიუ. ჰ. ო. კოდი ახლახან დაბრუნდა სამხრეთ კორეიდან, სადაც იგი ნახევარ წელიწადს მუშაობდა.

„იმ რაიონში, სადაც მე ვმუშაობდი,—განაცხადა კოდმა, — საომარი მოქმედების დროს დაინგრა 50 ათასი შენობა, მათ შორის მრავალი შენობა დაინგრა „გადამწვარი მიწის" ამერიკული სტრატეგიის შედეგად. ახლა იქ ხალხი დიდ გაჭირვებაშია. მრავალი ათასი ადამიანი ცხოვრობს მათ მიერ ამოთხრილ მიწურებში. მრავალი დაიღუპა შიმშილითა და სიცივით. ამ რაიონში მძვინვარებს ეპიდემიები, განსაკუთრებით ყვავილი".

შეეხო რა მოლაპარაკებას დროებითი ზავის შესახებ, კოდმა განაცხადა, რომ არც სამხრეთკორეელ და არც ამერიკელ ჯარისკაცებს არა სურთ განაგრძონ ომი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა [illegible] ამხ. ნ. გ. კუზნეცოვი [illegible] სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო [illegible].

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ი. ს. იუმაშევი მისი თხოვნის თანახმად გაათავისუფლა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრის მოვალეობისაგან.

„დილა" № 7

გამოვიდა საბავშვო ჟურნალ „დილის" მეშვიდე ნომერი. (ივლისი).

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: ი. ნონეშვილის „ჩორჩ მეზღვაურთა სიმღერა" (ლექსი), ით. ჩხეიძის „ზურია" (მოთხრობა), გრ. აბაშიძის „აი, როგორ გავკვეთ" (ლექსი), თ. ჩხაიძის „ქცია" (მოთხრობა), ა. აბაშიძის „მამულს ეძახის თავთავი" (ლექსი), ბ. ჩხეიძის „რამის წყარო" (მოთხრობა), ან. თევზაძის „ამხანაგების წერილი თამაზს" (ლექსი), ნ. ღონიაშვილის „ყვარუჯანი" (მოთხრობა), ს. სახოკიასის „ტუტუ თოჯინები" (ლექსი), ა. ზაზუტაშვილის „პრანგია" (მოთხრობა), მ. ლებანიძის „მერხი" (ლექსი), ქ. ჭილაშვილის „აფრინდა, აფრინდა" (მოთხრობა) და სხვ.

ბუნებისმეტყველების განყოფილებაში დაბეჭდილია ნ. ნაკაშიძის „ექსკურსიაზე ლოპოტში".

ჟურნალის ყდაზე დაბეჭდილია შ. ცხადაძის ნახატი „ზღვასთან", ხოლო ყდის მეორე გვერდზე მოთავსებულია „მეზავე იხვები" (იუმორი).

ჟურნალი მხატვრულად გაფორმებულია მხატვრების: ვ. ჯაფარიძის, ალ. ბანძელაძის, შ. ცხადაძის, ვ. ბელეცკაიას, გ. ტოროტაძის, გ. როინიშვილის, გ. ჩირინაშვილის, ი. კანდელაკის და ზ. მეძმარიაშვილის მიერ.

დიდი ფიზკულტურული საღამო გორში

გორი. (საკ. კორ). საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა გორის ფიზკულტურის კომიტეტმა 23 ივლისს გორში მოაწყეს ძალოსნობაში რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო რეკორდების საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს 7 საუკეთესო ძალოსანმა და სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ნოვაკმა.

გ. ნოვაკმა ორი ხელით აწია 141 კილოგრამი, რაც ნახევრად მძიმე წონის კატეგორიაში ახალი საკავშირო რეკორდია. ამავე წონის კატეგორიაში ორი ხელით 107,4 კილოგრამის აწევით ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა თბილისელმა დ. კაპლუნმა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გ. ჩიკვაიძე.

შეჯიბრებას ესწრებოდა უნგრეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია.

ამავე დღეს გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე სტატია — პარტიული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობაში. საერთო სათაური: „ვქრი ჩვენი სამშობლოს ძლიერება და სიმდიდრე" დაბეჭდილია საუბარი საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიონის მდივან ამხ. გ. კობახიძესთან — ბეჯითი შრომის ნაყოფი და ვ. გელაშვილის კორესპონდენცია — მოდის ხაშურის ხორბალი. ინფორმაციული მასალები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ.

მეორე გვერდი — საერთო სათაური: „წარმოების მეგობრობის შესახებ" მოთავსებულია საქართველოს წარმომადგენლების შეხვედრა მოწინავე მძიმე რესპუბლიკების მრეწველობის ნოვატორებთან.

ერთიანი ოჯახის გრძნობა.

მესამე გვერდი — პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის სიტყვა პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში.

ბ. ენტენი — გორის თეატრის სპექტაკლების შესახებ.

სპორტის ახალი ამბები.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაცია. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

26 ივლისს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 —სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 17.10 — კონცერტი მოსკოვიდან. 18.10 — კონცერტი რადიოკომიტეტის სოლისტის ე. წვერავას შესრულებით. 18.30 — გადაცემა: „რესპუბლიკის პიონერთა ბანაკებში". 19.15 — კონცერტი შ. ვაშაკიძის შესრულებით. 19.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი" — „გაზაფხული ყინულზე"; „ამირანი" (საზაფხულო დარბაზი), „თბილისი"—„ვოლგა-ვოლგა"; „ამირანი"—(საზამთრო დარბაზი), „სპარტაკი", „იხანი" — „კოტოვსკი"; „კომკავშირელი"—(საზაფხულო დარბაზი) — „მოკრივენი", (საზაფხულო დარბაზი) „ინჟინერ კოჩინის შეცდომა"; 26 კომისრის სახელობის (საზამთრო დარბაზი) — „საბჭოთა სოფელი" და „საბჭოთა აზერბაიჯანი", (საზაფხულო დარბაზი)—„მამაცი ადამიანები"; „დიდუბე" (საზაფხულო დარბაზი) — „მე-5 ოკეანე", (საზამთრო დარბაზი)—„სპორტული ღირსება"; „კოლხიდა" (საზამთრო დარბაზი) — „ეშმაკის ხიდი", (საზაფხულო დარბაზი) „თეთრად მოჩანს აფრა ეული"; კიროვის სახელობის — „ბალერინის ბედი".

რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ქართული ენის კათედრა—კათედრის დოცენტი—ნახევარი საშტატო ერთეული (სინტაქსი); რუსული და საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრა — უფროსი მასწავლებელი —ნახევარი საშტატო ერთეული (რუსული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა); ტანვარჯიშის კათედრა—მასწავლებელი — 4 საშტატო ერთეული; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა — მასწავლებელი — 4 საშტატო ერთეული; ფიზიკური გეოგრაფიის კათედრა (კათედრის გამგე — 1 საშტატო ერთეული).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერული ნაშრომების სია.

კონკურსის ვადა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან. საბუთები მიიღება დირექტორის სახელზე ინსტიტუტში: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა, № 35.

მეუღლე თინა, შვილები გოგი და ენძელა იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე ორჯონიკიძის** გარდაცვალებას.

მშობლები ეკატერინე, ბაგრატ, ბაბუა გიორგი, ძმა გერონტი, და მედეა დათუაშვილები იუწყებიან ექიმ **ხირგი ბაგრატის-ძე დათუაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-VII, 8 ს. გამოსვენება 26-VII, 6 ს. საბჯოს, 50.

თბილისის სტალინის რაიონის საფინანსო განყოფილების მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება **ვენერა კოჩმას ასულ რამიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VII, ს. ინგულში (ჩოხატაურის რ.).

გ. გეგეშიძე, ვ. ჯავახიშვილი, ღ. სამადაშვილი, ნ. ხუხუნაიშვილი, ა. ფაჩულიშვილი, მ. მეტრეველი, გ. დავითია, ი. მჭედლიშვილი იუწყებიან **ხირგი ბაგრატის-ძე დათუაშვილის** გარდაცვალებას.

გ. ინუქიძე, ლ. ნათაძე, შ. გუგუშვილი, ნ. სარალიძე, ბ. კრასოვსკაია, ქ. ყურაშვილი, ლ. მიქაძერიძე, გ. ნოზაძე, ნ. კარტოზია, ვ. ჩარკვიანი, ი. ანდრიაშვილი, ი. შანიძე თანაგრძნობას უცხადებენ მ. ჯიბუტს მისი დედის **მარიამ ხილიბისტროს ასულ ჯიბუტის** გარდაცვალების გამო.

დედა ნინო, მეუღლე ნათელა, შვილები ნინელი, გოგი, რძალი ოლია, ძმისწული მერი იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე გელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-VII, 8 ს. გამოსვენება 28-VII, 5 ს. არსენას, 1.

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებლები და მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ მ. ჯიბუტს მისი დედის **მარიამ ხილიბისტროს ასულ ჯიბუტის** გარდაცვალების გამო.

ნატა მიხაკაშვილი, ლუსია ბაერამანი, ანეტა ბლურციანი, ასია ავაქიანი, ედიკ გიგაური იუწყებიან **ხირგი ბაგრატის-ძე დათუაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები თამარ, მიხეილ, ვალოდია, რძალი ნინო ჯიბუტები, შვილიშვილები ჟუჟუნა, გოგლი, ნანა, მიხეილ, მანანა, სიძე ა. ქოქრიშვილი იუწყებიან **მარიამ ჯიბუტის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-VII, 8 ს. გამოსვენება 27-VII, 6 ს. კომის, 70.

დეიდაშვილები ნადია, მეგი, თამარ, სამი გუდონ ფილეები, რძალი მარგარიტა, სიძეები ი. ხაინდრავა, ა. გელოვანი, ა. მგელია, გ. თოფურია შვილებით იუწყებიან **ალიომა დეიზერის** გარდაცვალებას.

მეუღლე სვიმონ, შვილები გიორგი, მარგარიტა, რძლები მარო, ქეთო, შვილიშვილი მარიკა ქელბაქიანები იუწყებიან **თებრონე [illegible] ასულ ქელბაქიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-VII, 6 ს. წყლისანის, 5.

ბიძა გიორგი, ბიცოლა შუშანა, ბიძაშვილები გოგა, ვახტანგ, ცორა, მარო, რძლები ლილი და თამარ იუწყებიან ექიმ **ხირგი ბაგრატის-ძე დათუაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მუშაკები იუწყებიან ექიმ **ხირგი ბაგრატის-ძე დათუაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოს — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-51, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 03233